ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1. იანვარი. 2015.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**აკადემიური საბჭო**

**მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,**
**ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87**
**ნინოშვილის ქ., №35**
**ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge**

## დადგენილება №4

**2015 წლის 22 იანვარი, ქ. ბათუმი**

**სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 22-ე მუხლის 6-8 პუნქტების, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთა¬ველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8, 25-ე, 37-39-ე მუხლებისა და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 იანვრის ?3 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს (ბსუ-ს) რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდეს 2015 წლის 22 იანვარს;

2. ბსუ-ს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

გ) 5 წლის სამუშაო სტაჟი;

დ) სამოქმედო გეგმა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ—ს საარჩევნო კომისიაში (ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №4), 2015 წლის 23 თებერვლიდან 2015 წლის 6 მარტის ჩათვლით, შაბათ—კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.

4. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) სამოქმედო გეგმა;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით;

დ) ავტობიოგრაფია (C.V.)

ე) უმაღლესი განათლებისა და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლები;

ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

5. ბსუ-ს რექტორის არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 16 მარტს. რექტორის არჩევნებამდე ბსუ-ს აკადემიური საბჭო მოისმენს ბსუ-ს რექტორობის კანდიდატის სამოქმედო გეგმას.

6. ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე და ბსუ-ში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე, ასევე გამოქვეყნდეს გაზეთში "ბათუმის უნივერსიტეტი".

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,**
**პროფესორი გურამ ჩაგანავა**

# მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუჰაჯირები“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა თემაზე „მუჰაჯირები“. სამეცნიერო სესია „საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა ბოლო ერთი წლის წარმოებული კვლევა-ძიების შედეგების გაცნობას. კონფერენციაზე ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელმა მკვლევრებმა მე-19 საუკუნეში სამხრეთ საქართველოდან თურქეთის შიდა პროვინციაში გადასახლებული ქართველების (მუჰაჯირების) ისტორიისა და მათ შთამომავალთა თანამედროვე ყოფისადმი მიძღვნილი მოხსენებები წარმოადგინეს.

ერდოღან შენოლი და მუსტაფა ქოლათი კონფერენციის მუშაობაში მოხსენებით „ქართული ენის ჯგუფი ნუროსმანიეს სკოლაში“ სოფელ ნუროსმანიედან ჩაერთნენ და თურქეთში საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნუროსმანიეს სკოლაში არსებული ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფის საქმიანობა გააცნეს.

# შეხვედრა USAID-ის პროექტ „მმართველობა განვითარებისთვის“ ხელმძღვანელთან

USAID-ის პროექტ „მმართველობა განვითარებისთვის“ წარმომადგენლები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოადგილეებთან ირაკლი ბარამიძესა და ნათია წიკლაშვილთან გამართულ შეხვედრაზე პროექტის ხელმძღვანელმა მაილო სტევანოვიჩმა სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა. მხარეთა შეთანხმებით, დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება, სტუდენტების ჩართვა სტაჟირების პროგრამაში, საჯარო ლექციებისა და ტრენინგების ჩატარება.

# პროექტი „სტუდენტები თვითმმართველობისათვის“

ორგანიზაცია „მოქალაქის“ პროექტის „სტუდენტები თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრენინგები გაიმართა. პროექტში პირველ ეტაპზე ბსუ-ს სტუდენტებისაგან დაკომპლექტებული 12 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან მეორე და მესამე ტურზე გადასვლის შესაძლებლობა 6-ს მიეცა. ახალგაზრდებს სწავლება ჩაუტარდათ თვითმმართველობის არსის, კვლევის მეთოდების, ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესის შესახებ. პროექტს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახორციელებს და მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართვას სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში, ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერებას, თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაციას.

პროექტი ,,სტუდენტები თვითმმართველობისათვის“ ითვალისწინებს:

სტუდენტების მიერ მუნიციპალიტეტების საჭიროებების შესწავლა/ანალიზს, მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ალტერნატიული პროექტების შემუშავებას,

სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

მეორე ეტაპი - კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების კვლევასა და ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებაზეა ფოკუსირებული. გუნდებმა კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებული ვითარების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე უნდა მოამზადონ ანალიტიკური დოკუმენტი „მუნიციპალიტეტის პრობლემები და საჭიროებები”;

მეორე ეტაპი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ითვალისწინებს სტუდენტთა გუნდების მიერ საპროექტო წინადადების მომზადებასა და წარდგენას (საპროექტო წინადადებაში აღწერილი იქნება ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებისათვის საჭირო აქტივობები, კვლევის/შეფასების მეთოდოლოგია, ბიუჯეტი და სხვ.); პირველი ნაწილის შემდეგ გუნდები იღებენ უკუკავშირს (კომისიის მოსაზრებას, შენიშვნას, რეკომენდაციას). მეორე ნაწილი კი კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების კვლევასა და ანალიტიკური დოკუმენტის მომზადებაზე, არსებული ბიუჯეტის ანალიზზეა ფოკუსირებული.

მესამე ეტაპი ითვალისწინებს კონცეპტუალური დოკუმენტის - „მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა” მომზადებას. მასში ასახული უნდა იყოს გამოვლენილი პრობლემების დაძლევის გზები, მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა და მომდევნო წლის ბიუჯეტი.

ორგანიზაცია „მოქალაქე” პროექტის გამარჯვებულ კონკურსანტებს პრიზებს გადასცემს და სასწავლო-შემეცნებითი ტურს მოაწყობს ევროპის განვითარებული თვითმმართველობის მქონე ქვეყნებში.

# შთაბეჭდილებები ექსპერიმენტული ფიზიკის „სამყაროდან“

2014 წლის ზაფხულში ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ჩატარდა საზაფხულო სკოლა „კვლევის მეთოდები მასალათმცოდნეობაში“. საზაფხულო სკოლის დასასრულს, ლექტორებმა შეარჩიეს 2 სტუდენტი, რომელთაც წილად ხვდა შვეიცარიის ლაბორატორიაში გამგზავრება. მათ შორის ვიყავი მე, ანა სლიუსარევა ფიზიკის მე-3 კურსის სტუდენტი და თორნიკე ქიმერიძე (თ.ს.უ-ს მაგისტრი). ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან უდიდეს გამოცდილებას მივიღებდი.

მოწვევა მივიღეთ Paul Scherrer-ის ინსტიტუტიდან, რომელიც მდებარეობს შვეიცარიაში, ქ.ბურგში. თითქმის ათი დღის განმავლობაში 14 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით მქონდა პატივი საკუთარი თვალით მეხილა ექსპერიმენტული ფიზიკის საოცარი „სამყარო“. თვალუწვდენელი, გიგანტური დანადგარებით აღჭურვილი ლაბორატორიის დანახვისას აღტაცებული დავრჩი, რადგან ის მართლაც შთამბეჭდავი იყო.

აქ,უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული პროფესორი და სტუდენტები დამხვდნენ,რომლებიც სხვადასხვა ექსპერემენტებზე მუშაობდნენ,როგორიცაა,მაგალითად რენტგენის გამოსხივება თუ კრისტალების გაზრდა.ჩვენ კი,ვმუშაობდით მიუონის სპინის ბრუნვაზე.

მიუონი არის ელემენტარული ნაწილაკი,რომელიც წარმოიქმნება პიონის დაშლის შედეგად.მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაახლოებით 2,2 მკწმ-ია.

MSRhttps://en.wikipedia.org/wiki/Muon_spin_spectroscopy (muon spin rotation) ეს არის ექსპერემენტალური ტექნიკა, რომელიც დაფუძნებულია სპინ-პოლარიზებული მიუონების იმპლანტაციაზე ნივთიერებაში.ჯერ კიდევ 1957 წელს ნაწინასწარმეტყველები იყო,რომ პოლარიზებული დადებითი და უარყოფითი მიუონი იქნება მძლავრი საშუალება რომ გამოვიკვლიოთ მაგნიტური ველი ბირთვში, ატომსა თუ ატომთშორის რეგიონებში.მიუონების გამოყენება მაგნიტური თვისებების შესასწავლად დაიწყო 70-იან წლებში.ჩვეულებრივ,პოლარიზებული დადებიტი მიუონი იმპლანტირებულია ნიმუშში,სადაც ხდება მისი პრეცესია მაგნიტურ ველში იმ ადგილას,სადაც ის „ისვენებს“ .მიუონის დაშლა ხდება პოზიტრონის გამოსხივებით.მიუონის სხვადასხვა პოზიციებში იწერება ჰისტოგრამაში,რომელიც შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას მაგნიტური ველის შესახებ(იმ ადგილას ,სადაც მოხდა მიუონის დაშლა).

ექსპერიმენტის მსვლელობა:

ჩვენი მიზანი იყო მაგნიტური ველის შეღწევადობის სიღრმის ტემპერატურაზე დამოკიდებულების განსაზღვრა. მაგნიტური შეღწევადობის სიღრმე არის ერთ-ერთი ფუნდამენტალური პარამეტრი ზეგამტარებში. სწორედ MSR გვაძლევს საშუალებას გავზომოთ λ მე-2გვარის ზეგამტარებში.

ჩვენ ავიღეთ ნიმუში $Ba_{1-x}Rb_xFe_2As_2$. Rb-ის შეყვანა სისტემაში იწვევს ხვრელების გაჩენას,ეს კი , თავის მხრივ ,ზეგამტარობას.ეს ნიმუში მიიღება $BaFe_2As_2$ და $RbFe_2As_2$ სინთეზირებით 950 °C და 650 °C შესაბამისად.ნიმუშში მოვათავსეთ ინდიუმი,იმისათვის,რომ გავზომოთ მოდებული წნევა დაბალ ტემპერატურაზე.ჩვენთვის ცნობილია ინდიუმის ზეგამტარული გადასვლის ტემპერატურა-3,4K ჩვეულებრივ,ანუ ატმოსფერულ წნევაზე.ნიმუში დავამონტაჟეთ გაზის ნაკადში და მოვათავსეთ კრიოსტატში.ნიმუში გავაცივეთ თხევადი აზოტის საშუალებით იმ ტემპერატურამდე,რომელიც გვჭირდებოდა,ანუ რომელ ტემპერატურაზე გამოავლენს ჩვენი ნიმუში სეგამტარულ თვისებებს.

ნიმუშის ამოღების შემდეგ დაველოდეთ მის გალღობას და მოვათავსეთ რადიაციულ ზონაში.შემდეგ კი პროცესს ვაკონტროლებდით კომპიუტერის საშუალებით.

თავდაპირველად გავაკეთეთ კალიბრირება.შევცვალეთ მიუონის მომენტი და ვნახეთ რა მომენტის დროს ჰქონდა მიუონებს მაქსიმალური ფრაქცია(რაოდენობა ნიმუშში)

მეორე,რაც გავაკეთეთ,ოპტიმიზაცია,ანუ ვერტიკალური სკანირება.ვამოძრავეთ ნიმუში ვერტიკალური მიმართულებით და ასევე ვპოულობდით,რომელ პოზიციას შეესაბამება მიუონების მაქსიმალური რაოდენობა ნიმუშში.

ეს პროცესი გავიმეორეთ რამოდენიმეჯერ, თან ვცვლიდით ნიმუშზე მოდებულ წნევას. შედეგებისა და შესაბამისი გრაფიკების დამუშავება ვერ მოხერხდა, რადგან ამისათვის, როგორც აგვიხსნეს, თვეებია საჭირო. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში შეგვეძლო მხოლოდ ექსპერიმენტის ჩატარება. თუმცა, ხელმძღვანელის თქმით, ჩვენი შედეგები საკმაოდ ზუსტი აღმოჩნდა. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ მივიღეთ უდიდესი გამოცდილება, თანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

**ანა სლიუსარევა**
**ფიზიკის სპეციალობის**
**მესამე კურსის სტუდენტი**

# სასწავლო პრაქტიკა გერმანიაში

ტურიზმის ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის 20 სტუდენტი სასწავლო პრაქტიკას გერმანიაში ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაციებში გადის. სტუდენტებს 2 თვის განმავლობაში საშუალება ექნებათ გაეცნონ სასტუმროს ყველა ძირითადი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებას. თეორიულ ცოდნის მიღებასთან ერთად, სტუდენტები აქტიურად იქნებიან ჩართული სასტუმროს ყოველდღიურ საქმიანობაში. სასწავლო პრაქტიკა უზრუნველყოფილია გერმანიის შვერინის ბალტიკის კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.




# „ქიმია და ყოველდღიურობა“

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის ორგანიზებით საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის ვორქშოფი მოეწყო თემაზე: „ქიმია და ყოველდღიურობა“. ქიმიის და ჯანდაცვის სპეციალობების სტუდენტებმა: ზეინაბ გობაძემ, ვარა ირემაძემ, ანა მეფარიშვილმა და ხატია ჩხაიძემ ნაშრომები წარმოადგინეს ქიმიის, ეკოლოგიისა და ჯანდაცვის აქტუალურ პრობლემებზე. ახალგაზრდებმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლეებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: კვების პროდუქტების ფალსიფიკაცია, ქიმია და ჭარბი წონა, ახალი სამედიცინო პრეპარატები, ახალი ბიოლოგიური პოლიმერების სინთეზი.

# საინტერესო წიგნი ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის უნიკალური პრეცენდენტის შესახებ




სულ ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ მიერ პროექტის „საქართველოს აფხაზეთი და ჩინეთის ჰონკონგი“ (ძიებანი კონფლიქტის დარეგულირებისათვის) ფარგლებში გამოსცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორების, პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორის ჯემალ გახოკიძის და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის სოფო მიდელაშვილის მიერ მომზადებული ნაშრომი „ჰონკონგი, ჩინეთი 1997“, რომლის რედაქტორები არიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარე თედო ჯაფარიძე.

როგორც ნაშრომიდან სჩანს, ავტორთა გადაწყვეტილება ამგვარი ნაშრომის შექმნის შესახებ განაპირობა საქართველოში არსებულმა მოუგვარებელმა კონფლიქტებმა, რადგან მიუხედავად საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ოცწლიანი ძალისხმევისა, კონფლიქტების დარეგულირების მხრივ მდგომარეობა არ იცვლება და ფაქტობრივად არც უკეთესობა იგრძნობა. ამდენად, ასეთ ვითარებაში საჭირო გახდა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების ახალი გზებისა და ფორმების ძიება, რომელიც მხოლოდ მათ მშვიდობიანად გადაწყვეტას დაემყარება.

ნაშრომის ავტორებისათვის ჰონკონგის ფენომენი მეტად საინტერესო აღმოჩნდა, რადგან 1997 წლის პირველ ივლისს ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენა და არსებული რეალობაა.

სწორედ ამიტომ მიიჩნიეს ნაშრომის ავტორებმა საჭიროდ საქართველოში არსებული კონფლიქტების ჰონკონგის მსგავსად გადაწყვეტა და ნაშრომში გადმოგვცეს კონფლიქტის გადაწყვეტის როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების ანალიზი და შესაბამისი გზების, ფორმებისა და მეთოდების ძიება საქართველოსა და მის განდგომილ რეგიონებთან მიმართებაში.

Aაქედან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი მიზანია ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი ასპექტების, კერძოდ ჩინეთთან ჰონკონგის მიერთების პოლიტიკური ფაქტისა და დოკუმენტური მასალების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა, რადგან ჩინეთის მიერ ჰონკონგის მიერთების ასეთი წარმატებული გადაწყვეტა ძალზე საინტერესო და საყურადღებოა, მით უმეტეს, როგორც ნაშრომიდან ირკვევა, ამ მიმართულებით საქართველოში არც ნაშრომი შექმნილა და არც კვლევა ჩატარებულა.

ნაშრომში მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად არის გადმოცემული ჰონკონგის ჩინეთში მშვიდობიანი დაბრუნების შესახებ. ეს მართლაც უნიკალური და უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რომლის ანალოგი მსოფლიოში ნაკლებად თუ მოიძებნება, იმის მიუხედავად, რომ ერთის მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის, ხოლო მეორე მხრივ - ჰონკონგში კაპიტალიზმის არსებობის გამო ამ ქვეყნებს შორის შეუთავსებლობისა და დაპირისპირების უამრავი წინაპირობა არსებობდა. მაგრამ, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ეს წინააღმდეგობა გადაილახა ძირითადად ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკური ნებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰონკონგის ჩინეთში მშვიდობიანი დაბრუნება უპრეცედენტო შემთხვევა და დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება იყო, რის შედეგად რეალურად კონფლიქტი მშვიდობიანი გზით იქნა გადაწყვეტილი. ჰონკონგის ფენომენი მეტად საინტერესოა ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის გზებისა და ფორმების ძიებისათვის. ამასთანავე, ნაშრომის ავტორების აზრით ჰონკონგის გავლილი გზა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე კრიტიკულადაა გასაანალიზებელი, ანგარიშგასაწევი და მხედველობაში მისაღები.

ნაშრომის ავტორებმა სწორედ ამ მიზნით შემოგვთავაზეს განსჯისათვის მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელსაც ვფიქრობთ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, ყველა დარგის სპეციალისტები, ზოგადად კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით ყველა დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა.

ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მისმა ავტორებმა შეიმუშავეს სახელმწიფო მოწყობის საკმაოდ გაბედული მოდელი ტერიტორიული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უნიკალურ პრეცენდენტებთან დაკავშირებით და ის განსჯისათვის მკითხველს წარუდგინეს.

საყურადღებოა, რომ კვლევის შედეგებთან ერთად ნაშრომში ავტორები მკითხველს სთავაზობს ორი ძირითადი დოკუმენტის ქართულ თარგმანს, კერძოდ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის 1984 წლის ერთობლივ დეკლარაციას ჰონკონგის თემაზე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციას, რომელიც საფუძვლად დაედო ნაშრომში შემოთავაზებულ დასკვნებს და შეფასებებს ჰონკონგსა და ჩინეთს შორის აღდგენილ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ჩინეთთან ჰონკონგის მიერთების პოლიტიკურ მოვლენას.

სწორედ დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ერთობლივი დეკლარაცია და ჰონკონგის კონსტიტუცია გახდა ჰონკონგისათვის სრული ეკონომიკური და ფინანსური თავისუფლების მინიჭების პოლიტიკურ სამართლებრივი საფუძველი. ამის შედეგად, 20 წლის განმავლობაში ჰონკონგი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ცენტრი.

ნაშრომის ბოლოს ავტორების მიერ სწორედ ჩინეთისა და ჰონკონგის გაერთიანებისა და ერთად ყოფნის 17 წლის პერიოდის დამახასიათებელი პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლებია გაანალიზებული.

როგორც ნაშრომიდან სჩანს წარმოდგენილი პროექტის მიმართ ინტერესს იჩენს საქართველოს მთავრობა.

წარმოდგენილი ნაშრომი განსჯისათვის მკითხველთა ფართო წრეებისათვის არის განკუთვნილი, რომელიც ძალიან საინტერესოდ იკითხება.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ როგორც ნაშრომის ავტორები გვამცნობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრი“ მუშაობას აგრძელებს პროექტის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე. კერძოდ, საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების მშვიდობიანი გზების ძიების მიმართულებით და გვპირდებიან მეცნიერული კვლევის, ჩინეთ-ჰონკონგის გამოცდილების ანალიზისა და არსებული მდგომარეობის საფუძველზე აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთისათვის შესათავაზებელი წინადადებების ახალი პაკეტის მომზადებას, რომელიც ავტორთა აზრით უნდა გახდეს კონფლიქტების დარეგულირების საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

მინდა მეტად საინტერესო ნაშრომის გამოცემისათვის მადლობა გადავუხადო ავტორებს, რომელთა დიდი შრომის შედეგად გახდა ხელმისაწვდომი წარმოდგენილი ნაშრომი ქართული საზოგადოებისათვის. მათ წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

**გივი აბაშიძე,**
**სამართლის დოქტორი**
**ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო**
**უნივერსიტეტის**
**ასოცირებული პროფესორი**

# ევროპული ლაბორატორია ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

2015 წლის დასაწყისიდან ჩვენს უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყო ევროპული დონის თანამედროვე სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიამ WEBLAB. ლაბორატორია შექმნილია ტემპუსის პროექტის გრანტის ფარგლებში, რომელშიც ჩართულნი არიან ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები და თანამშრომლები: თამაზ ბერიძე, გულად ფარტენაშე, ზაზა დავითაძე, ომარ ნაკაშიძე, ოთარ ჯანელიძე და ზაურ გამიშიძე.



ლაბორატორიის ინოვაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებს სამ სხვადასხვა საგანში (რობოტოტექნიკა, ანალოგური და ციფრული ელექტრონიკა) ლაბორატორიული სამუშაოებისა და ექსპერიმენტების ჩატარება შეუძლიათ დისტანციურად, „ონლაინ“ რეჟიმში, რაც საშუალებას იძლევა მცირე ფართობზე განლაგებული ლაბორატორია ხელმისაწვდომი გახდეს სხვადასხვა სპეციალობების დიდი რაოდენობა სტუდენტებისათვის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სტუდენტი აღნიშნულ საგნებში მიღებულ დავალებებს შეასრულებენ კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენებით დისტანციურად მათთვის სასურველ დროს, ხოლო ლექტორი სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს შეამოწმებს კვლავ ინტერნეტის საშუალებით. ლაბორატორიაში განთავსებულია სპეციალური დანიშნულების ელექტრონული აპარატურა ეგრეთწოდებული „VISIR” ანალოგური ელექტრონიკის შესასწავლად „FPGA“ დანადგარი ციფრული ელექტრონიკისა და სქემოტექნიკის შესასწავლად. აქვეა თანამედროვე მიკროკონტროლერებითა და სენსორული ტექნიკით აღჭურვილი მცირე ზომის მოძრავი რობოტის

მოდელი, რომლის მართვა შესაძლებელია ინტერნეტით და ლაბორატორიაში განთავსებული ვიდეოთვალის საშუალებით მომხმარებელი თვალს ადევნებს მის პროგარმულ მოძრაობას.

ლაბორატორია ინტერნეტ-კავშირშია ესპნეთის ქალაქ დეუსტოს უნივერსიტეტის ანალოგიურ ლაბორატორიასთან, რაც საშუალებას იძლევა, რომ ჩვენი ლაბორატორიის დაკავებულობის შემთხვევაში ამოცანის გადართვა ავტომატურად მოხდება დეუსტოს ლაბორატორიაში, სადაც სტუდენტს შეუძლია იგივე სამუშაოების შესრულება რაც ბათუმის ლაბორატორიაში და პირიქით, დეუსტოს ლაბორატორიის დაკავების შემთხვევაში ამოცანის გადმორთვა მოხდება ბათუმის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიაში დაგეგმილია ამოცანების საკუთარი ძალებით დამატება მეცნიერების სხვადასხვა სფეროსათვის. ამჟამად კი კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ორი სტუდენტი ამზადებს სადიპლომო ნაშრომებს აღნიშნულ სფეროში.

**ზაზა დავითაძე**
**კომპიუტერულ მეცნიერებათა**
**დეპარტამენტის ასოცირებული**
**პროფესორი, დოქტორი**

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა წარმატების ქვაკუთხედი და ყველაზე ძლიერი ბერ-კეტია მთავრობის ხელში. მიმზიდველი ბიზნესგარემო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესმენების კეთილგანწყობა, მართალია არა მთავარი, მაგრამ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ძლიერი სტრატეგიის შესამუშავებლად. გამა-რთული მარკეტინგი და PR, არა გადამწყვეტი, თუმცა გამარჯვებისათვის აუცილებელი წინაპირობაა. სახელმწიფო მოხელეები, მინისტრები, პარლამენტარები და სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლები წარმოადგენენ ტაქტიკის განსაზღვრისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტს.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი და გეოპოლიტიკური არასტაბილურობა ფინანსური რესურსების სიმცირის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. ამას ემატება საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ამის დასაკომპენსირებლად საჭიროა საქართველოს ხელისუფლებამ შექმნას მიმზიდველი ბიზნესგარემო, რაც გამოიხატება მაღალი სარეიტინგო ქულების მიღებით მსოფლიო ბანკის მიერ წარმოებული ისეთ მნიშვნელოვან კვლევაში, როგორიცაა: Doing Business. ამ კვლევას დიდ ნდობას უცხადებენ უცხოელი ბიზნესმენები და ორგანიზაციები. მიმზიდველი ბიზნესგარემოს ფორმირების დემონსტრირებაა აგრეთვე გაუმჯობესებული მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლები, როგორც აბსოლუტური, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებითაც (საქსტატი, 2014); ძლიერი და სამართლიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, კრიმინალისგან თავისუფალი გარემო, სანდო მთავრობა და სხვა (IMF, 2013);

არ აქვს მნიშვნელობა რა შედეგებს მიაღწია ამა თუ იმ მთავრობამ სწორი მარკეტინგული და PR სვლებით. მთავარია ის, რომ მინიმალური შედეგის მაქსიმალურად წარმოჩენამ და, პირიქით, არასწორმა მარკეტინგმა უდიდესი მიღწევებიც შესაძლოა შეუმჩნევლად დატოვოს. უდავოა, რომ პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების მიერ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გაკეთებული განაცხადები უდიდეს როლს თამაშობენ ქვეყნის ბიზნეს-გარემოს ფორმირებაში. თუმცა, მათი შესაძლებლობები და მოქმედების არეალი შეზღუდულია დროსა და სივრცეში. უფრო მეტიც, ზოგად პოლიტიკას, როგორც წესი, წინასწარ განსაზღვრული გეგმა განაპირობებს, ხოლო პოლიტიკოსები, პარლამენტარები და სხვა სახელმწიფო მოხელეები კი პოლიტიკის სისრულეში მოყვანის სუბიექტებია,

საქართველოში ჩამოყალიბებული ნეგატიური ბიზნეს-სიტუაციის მიუხედავად, საჭიროა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გადადგას ადეკვატური ნაბიჯები. მსოფლიო ფინანსური კრიზისი, რომელმაც 2008 წელს მთელს მსოფლიოში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, საქართველოში ფაქტობრივად, შეუმჩნევლად ჩაიარა. ეს განპირობებული იყო არა საქართველოს ეკონომიკის მდგრადობით და მთავრობის სწორი პოლიტიკით, არამედ, რუსეთ-საქართველოს ომით, რომლის დამანგრეველი შედეგების აღმოსაფხვრელად, საერთაშორისო თანამეგობრობამ, საქართველოს მთავრობის მიერ მოთხოვნილი 3.5 მილიარდი დოლარის ოდენო-ბის დახმარების ნაცვლად, 4.5 მილიარდი დოლარის პაკეტით გულუხვად „დაასაჩუქრა“ (სავარაუდოდ, ამ ომში დაუხმარებლობის „დანაშაულის“ გამოსასყიდად).

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველო გეოპოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში მდებარეობს, რასაც ქვეყნის შიგნით მოუგვარებელი კონფლიქტები ერთვის. აღნიშნულს ემატება რუსეთთან გართულებული ურთიერთობა, რაც ძალზე რთულად დასაძლევ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ გეოპოლიტიკურ ჭრილში გადადგმული ყოველი ნაბიჯი უდიდეს სიბრძნეს მოითხოვს. რეალობაა ის ფაქტი, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ქართველი ბიზნესმენები ცდილობდნენ უცხოელი პარტნიორების ბიზნესებს ამოფარებოდნენ, თუმცა, რიგ შემთხვევაში, მთავრობას არც საერთაშორისო სკანდალები ადარდებდა. შესაძლოა, რომელიმე ინვესტორის „დაჩაგვრა“ მთავრობას მარტივად გამოსდიოდა, მაგრამ, მთლიანობაში, ლიბერალური და პროგრესული რეპუტაციის შელახვა დღითი-დღე ძლიერდებოდა.

ყველაფერთან ერთად, საქართველოს მთავრობამ დროებით მოიჭრა თავისი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა, ხან დისკრეტიული მმართველობის განხორციელებით, ხან გამოუცდელი კადრებისა და სუსტი პოლიტიკის გატარებით. ზემოთ აღნიშნულის გამო საქართველოში როგორც ადრე შემოსული, ასევე შემოსვლის მსურველი ინვესტორები გადასულნი არიან მოლოდინის რეჟიმში. ამის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო ჩვენს ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციების მოცულობამ. იმავდროულად, მეორე მხრივ, ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაც. განსაკუთრებულად კი ქართველი ინვესტორები საზღვარგარეთ 2012 წელს აქტიურობდნენ, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში არასტაბილური ვითარება იყო. საქართველოში დაშვებულმა შეცდომებმა და საარჩევნო პერიოდში შექმნილმა გაურკვევლმა სიტუაციამ „დააფრთხო“ არა მარტო უცხოელი, არამედ ადგილობრივი ინვესტორებიც. ისინი იძულებულნი გახდნენ დროებით თავი შეკავებინათ ახალი კაპიტალდაბანდებისაგან ან შეემცირებინათ საქართველოში ადრე ინვესტირებული კაპიტალის ოდენობა, შესაბამისად მათ უნდა დაებანდებინათ კაპიტალი საზღვარგარეთ. შედეგად, საქართველო კვლავ რჩება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა იმპორტიორი, რაც ტიპიური განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი.

ინვესტიციებისა და შემოსავლების გადინებით გამოწვეული კატასტროფული შედეგების თავიდან ასაცილებლად, ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს შემოდინებული პირდაპირი უცხოური იინვესტიციებისა და მისგან მიღებული შემოსავლების გადინების ტენდენციები. საქართველოში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2009-2013 წ.წ.) პირდაპირ უცხოურ იინვესტიციებზე დარიცხული წმინდა მოგება სულ უფრო უახლოვდება დროის იმავე პერიოდში საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური იინვესტიციების მაჩვენებლებს.

2011-2013 წლებში ზემოაღნიშნულმა წმინდა მოგებამ შესაბამის წელს შეადგინა შემოდინებული პირდაპირი უცხოური იინვესტიციების დაახლოებით 80%, რაც, ერთი შეხედვით, სავსებით ლოგიკურია და ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ უცხოელი ინვესტორი არა საქართველოს, არამედ საკუთარ გამდიდრებასა და კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. 1997-2013 წლებში საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის გადაიქცა მხოლოდ ფულის კეთების ადგილად. საქართველოდან ინვესტიციებზე დარიცხული შემოსავლის სახით გატანილია 4.3 მლრდ დოლარი, მაშინ როდესაც მთლიანმა ინვესტიციებმა იმავე პერიოდში შეადგინა მხოლოდ 11.5 მლრდ დოლარი. საჭიროა ამ ვითარების გამოსწორება. უნდა მოხდეს ინვესტორთა უფრო მეტად დაინტერესება უკვე მიღებული შემოსავლების რეინვესტირებაში დაბანდების კუთხით, რადგანაც რეინვესტირების დღევანდელი მაჩვენებელი (ჯამური - 34%) საქართველოსთვის საკმაოდ დაბალია. მას ნამდვილად აქვს უფრო მეტი სახსრების მოზიდვის პოტენციალი და საჭიროება.

რეინვესტირებული კაპიტალის მნიშვნელობის დაუფასებლობა საქართველოსათვის უპატიებელი შეცდომა იქნება, რადგანაც რეინვესტირებული კაპიტალის სახით ქვეყანაში დარჩენილი სახსრები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საინვესტიციო ნაკადების ფორმირებაში. მაგ.: 2013 წლის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური იინვესტიციების მოცულობამ 1 მლრდ დოლარს გადააჭარბა, თუმცა, ცოტა ვინმე თუ აღნიშნავს, რომ მოცემული რიცხვის დაახ-ლოებით 40% (დაახლოებით 393 მლნ დოლარი) არა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, არამედ რეინვესტირებული კაპიტალია. შესაბამისად, 2013 წელს რეალურად მოზიდული პირდაპირი უცხოური იინვესტიციების მოცულობა საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მხოლოდ 60%-ია. რეალურად, ახალი ინვესტიციების მოზიდვა საკმაოდ რთული პროცედურაა.

აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში პრიორიტეტად გამოცხადებული სოფლის მეურნეობის დარგი ძალიან დაბალი დაინტერესებით სარგებლობს უცხოელ ინვესტორებს შორის. მაშინ როდესაც ქვეყანას ნამდვილად შეუძლია გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წმინდა ექსპორტიორი. მეორე მხრივ, ენერგეტიკის სექტორი, რომელიც ასევე მთავრობის პრიორიტეტია, საკმაოდ მაღალი დაინტერესებით გამოირჩევა უცხოელ ინვესტორებს შორის და მთლიანი ინვესტიციების 1/6-ს შეადგენს, რითაც ის მხოლოდ ჩამორჩება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2011 წლის შემდგომ საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო ნაკლებად ინტერესდებიან საქართველოში პირდაპირი უცხოური იინვესტიციის განთავსებით.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ხელთ გარკვეული კონკურენციული უპირატესობის არსებობის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ მსოფლიოში შექმნილი რეალური ვითარების არასათანადოდ შეფასების შედეგად მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობა კვლავ დაბალ დონეზე რჩება. ამრიგად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიხედვით საქართველო ძალზე დამოკიდებული უცხოეთის დონორ სახელმწიფოებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და რეგიონულ ინტეგრაციებზე, განსაკუთრებით, ევროკავშირზე. მაგ., 1997-2013 წლებში ევროკავშირის წილად მოდის საქართველოში შემოსული ჯამური პირდაპირი უცხოური იინვესტიციების 41%). ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შედეგად კი, ამ მაჩვენებლის (როგორც აბსოლუტური, ისე წილობრივი გამოხატულეით) კიდევ უფრო გაიზრდება. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ კონკრეტულ რეგიონზე ძლიერმა დამოკიდებულებამ დროის კონკრეტულ მომენტში შესაძლოა ნეგატიური სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

შესაბამისად, უფრო მეტი საინვესტიციო ნაკადის მოზიდვის მიზნით საჭიროა საქართველოს მთავრობამ გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:, კერძოდ:

1. უნდა მოხდეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შედეგად ინვესტიციების მაქსიმალური სტიმულირება და, პარალელურად, ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების მოძიება/დივერსიფიცირება (მაგ.: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აშშ-თან; ახალი ინვესტიციების მოძიება და ძველი ინვესტორების მიერ მიღებული შემოსავლების საქართველოში რეინვესტირების წახალისება); შესაბამისად რეინვესტირების მექანიზმი საქართველოს მთავრობის მხრიდან მაქსიმალურად უნდა იქნეს წახალისებული;

2. მთავრობის მიერ ბიზნეს-პარტნიორების მხარდაჭერით მსხვილი საინვესტიციო პროექტების მოზიდვა; სასურველია, „პარტნიორი“ ბიზნესმენების მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური იინვესტიციების დაბანდების დროს მდგრადობის მაჩვენებელი შენარჩუნდეს მაქსიმალურად მაღალ დონეზე. აგრეთვე, ის განთავსებული უნდა იქნეს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში, კერძოდ: განათლებაში, ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებში;

3. საჭიროა მოხდეს საქართველოს მიღწევებით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების დაინტერესება. აუცილებელია, მათი უფრო აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის კეთილღეობის უზრუნველყოფაში. საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი რეალური საშუალებაა უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად ყველა შესაძლო მაკროეკონომიკური ბერკეტის გამოყენებით, სწორი სტრატეგიის შერჩევა;

4. ჩვენი აზრით, საქართველოს საგარეო საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის საუკეთესო სტრატეგია იქნება ევროკავშირზე მაქსიმალური ორიენტაციის აღება, რადგანაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში სწორედ ამ რეგიონიდან შემოდინებული ინვესტიციები განაპირობებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალ მაჩვენებელს.

**დავით ძათამაძე**
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

# ჯემალ კარალიძე - 50

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ასოცირებულ პროფესორ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ ჯემალ კარალიძეს.

ჯემალ კარალიძე დაიბადა 1965 წლის 14 იანვარს ქ. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭში. 1983 წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია - ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1984-1986 წწ. იხდიდა სამხედრო სავალდებულო სამსახურს. არმიიდან დაბრუნების შემდეგ წარჩინებით დაასრულა 1990 წელს და მიენიჭა საშუალო სკოლის ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. სტუდენტობის წლებში იგი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა ისტორიის სამეცნიერო წრის მუშაობაში, სადაც მან გამოავლინა სამეცნიერო კვლევითი მუშაობის უნარი.

1996-1999 წლები ბატონ ჯემალ კარალიძის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდია, როცა იგი სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით, ამ დარგის გამოჩენილი მეცნიერების, პროფესორების ვახტანგ ჯანჯღავასა და ვახტანგ გურულის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის სრული კურსის დამთავრების შემდეგ 1999 წლის 29 ნოემბერს წარჩინებით დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,ბათუმის ოლქი (აჭარა) პირველი მსოფლიო ომის წინ'' და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და მალევე მიიღო დოცენტის წოდებაც.

პირველი წარმატებული ნაბიჯის შემდეგ ფართოდ გაიშალა ბატონი ჯემალის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის, ნაყოფიერი მოღვაწეობა.

საკმაოდ ვრცელია მისი მოღვაწეობის ჩამონათვალი. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს (ამჟამად უნივერსიტეტი). სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველოს ისტორიის კათედრის წევრი და ლექციებს კითხულობდა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ქვეყნების ისტორიაში. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო - კვლევით მუშაობას და გამოქვეყნებული აქვს არა ერთი სამეცნიერო შრომა და მონოგრაფია.

ნაყოფიერ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამო იგი მუშაობდა უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ - აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების გამგედ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე დეკანის მოადგილედ, ისტორიის ფაკულტეტის დეკანად და სხვა.

ასოც. პროფესორ ჯემალ კარალიძის სამეცნიერო - კვლევით ინტერესთა სფეროშია საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორია. რომელსაც მიუძღვნა საკმაოდ ვრცელი შრომები. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის მონოგრაფია „აჭარა 1878 -1903 წლებში - ეკონომიკური და სოციალური ვითარება," ბათუმი, 2009); „საქართველო - ჩეჩნეთის ურთიერთობა პოსტსაბჭოთა პერიოდში"; „საქართველო - დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან"; „რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიაში" და სხვა.

მის კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო და პედაგოგიური ხასიათის შრომა, სტატია და წერილი, რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე ჟურნალებსა და შრომების კრებულებში.

ჯემალ კარალიძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს მეგობრებთან და სტუდენტებთან, არის მომთხოვნი ლექტორი და გულისხმიერი კოლეგა.

ბატონ ჯემალ კარალიძე შესანიშნავი ოჯახის პატრონია, მეუღლე ფილოლოგი - დამსახურებული პედაგოგია. უფროსი ქალიშვილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, ხოლო მომდევნო ქალ-ვაჟიც მალე მამის გზის გამგრძელებლები იქნებიან.

ერთ პატარა საგაზეთო წერილში შეუძლებელია იუბილარის ყოველმხრივ სრულყოფილად წარმოჩენა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალ დიდ საიუბილეო თარიღებზე უფრო სრულყოფილი წერილით მივესალმებით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი, სტუდენტები, კოლეგები და მეგობრები ულოცავენ ბატონ ჯემალს 50 წლის იუბილეს, უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

**კეთილი სურვილებით**
**ემზარ მაკარაძე,**
**ნოდარ ბარამიძე**

## ძვირფასო პროფესორო ძაძამია,

გვსურს მოგიწვიოთ ჩვენი ჟურნალის, „Mathematical Reviews", რეცენზენტად. როგორც თქვენთვის ცნობილია, გამოცემები „ MR Database", "Math SciNet" მოიცავს მთელი მსოფლიოს მათემატიკურ კვლევით ლიტერატურას, შესაბამისად რეცენზიები იწერება კომპეტენტური ექსპერტების მიერ. უკვე 75 წელია ჟურნალი „Mathematical Reviews" ემსახურება თავის მისიას მსოფლიოს მათემატიკოსებთან ერთად. რეცენზენტების ერთობლივი მუშაობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მათემატიკურ მეცნიერებაში მიმდინარე მოვლენების განვითარებაში. მათემატიკური ლიტერატურის რაოდენობა სწრაფად იზრდება და შესაბამისად, იმისათვის, რომ შევძლოთ მუშაობის შეუფერხებლად გაგრძელება, დამატებით გვესაჭიროება რეცენზენტები, რათა არ ჩამოვრჩეთ რეცენზირების პროცესს. თქვენ მიერ გამოქვეყნებული შრომების გათვალისწინებით გვჯერა თქვენი კვალიფიკაციის და საკითხები, რომლებსაც თქვენ იკვლევთ სწორედ იმ მიმართულებისაა, ჩვენ რომ გვესაჭიროება. თუ თქვენ დაინტერესდებით ჩვენი შემოთავაზებით და გამონახავთ დროს რეცენზირებისთვის, გთხოვთ, შეავსოთ ფორმა, რომელსაც ჩვენ გიგზავნით და გამოგიგზავნოთ ელექტრონული ფოსტით. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია საშუალებას მისცემს ჩვენს რედაქტორებს შეგირჩიონ შესაბამისი თემები მიმოხილვისთვის. მას შემდეგ, რაც მივიღებთ თქვენს მიერ შევსებულ ფორმას და დავამუშავებთ მიღებულ იფორმაციას, თქვენ მიიღებთ მისასალმებელ წერილს და შემდეგ უკვე გამოგიგზავნით სტატიებს რეცენზირებისთვის.

იმედი გვაქვს, რომ გადაწყვეტთ და შემოგვიერთდებით ჩვეს მნიშვნელოვან საქმიანობაში. ველით თქვენს პასუხს.

**პატივისცემით, ნორმ რიჩერტი**
**მმართველი რედაქტორი და მოქმედი აღმასრულებელი რედაქტორი**

## პროფესორ ვ. ბალაძის გამოხმაურება

ასისტენტ პროფესორ მ. ძაძამიას ეს დიდი წარმატება შემთხვევითი არაა. ის ერთ-ერთი წარმატებული მკვლევარია უწყვეთ გარდაქმნათა ჯგუფების თეორიისა. მას დიდი წარმატებები ჰქონდა სტუდენტობის და ასპირანტურის პერიოდში. საკმაოდ ადრეულ ასაკში შეასრულა თავისი სადისერტაციო ნაშრომი, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილმა პროფესორმა ი. სმირნოვმა. თბილისის უნივერსიტეტში მაღალ დონეზე დაიცვა დისერტაცია.

ნორმ რიჩერის, Mathematical Reviews-ს მმართველი რედაქტორის მაღალი შეფასება საპატიოა და ნებისმიერი მათემატიკოსის ბიოგრაფიას დაამშვენებდა.

მაიას, ჩემს საყვარელ მოსწავლეს გულწრფელად ვულოცავ წარმატებას და ვუსურვებ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას.

**პროფ. ვ. ბალაძე**

# 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

გიორგი ერისთავის თეატრი, ქართული პროფესიული თეატრი (1850-1856), ეროვნული რეალისტური თეატრალური ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი კერა. დააარსა და მისი იდეური, შემოქმედებითი მრწამსი განსაზღვრა პოეტმა და დრამატურგმა გ. ერისთავმა.

პირველი წარმოდგენა გაიმართა 1850 წლის 2 (14) იანვარს, თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სცენისმოყვარეთა ძალებით, გ. ერისთავის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოადგინეს მისივე პიესა "გაყრა". ეს თარიღი მიჩნეულია ქართული თეატრის აღდგენის თარიღად და XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნება, როგორც ქართული თეატრის დღე. 1851 წელს თბილისში მუშაობა დაიწყო გ. ერისთავის მიერ ჩამოყალიბებულმა პირველმა პროფესიულმა დასმა. მასში შედიოდნენ: სააკაძისა, ტატიშვილისა, ანტონოვისა, ბარათაშვილისა, ნათიშვილისა, აბრამიძისა, ჯორჯაძისა, ნ. უზნაძისა, გ. დვანაძე, გ. ტატიშვილი, ი. ელიოზიშვილი, რჩეულიშვილი, გ. ჯაფარიძე, გ. კორძაია, ზ. ანტონოვი. თეატრთან მუდმივად თანამშრომლობდნენ საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: მ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე და სხვები. იდგმებოდა გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ა. მეფარიანის, გ. ჯაფარიძისა და სხვათა ორიგინალური, აგრეთვე თარგმნილი და გადმოკეთებული პიესები. მეფის მთავრობამ დასს ყოველწლიური ფულადი დახმარება დაუნიშნა, რადგან ვარაუდობდა, რომ იგი ცარიზმის ინტერესებს დაექვემდებარებოდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ თეატრი განმათავისუფლებელ, ანტიბატონყმურ იდეებს ქადაგებდა, რეაქციულ თავადაზნაურობასთან ერთად დაიწყო მისი შევიწროება. 1854 წელს გ. ერისთავი იძულებული გახდა თეატრისათვის თავი დაენებებინა. თეატრი დაიხურა 1856 წელს.

ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში. ეროვნული თეატრის აღორძინება ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მაგრამ თეატრალურ დასს ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების შეფერხებისთვის ყველა ღონეს ხმარობდნენ. თეატრს წაართვეს შენობა, მის რეპერტუარზე უმკაცრესი ცენზურა იყო დაწესებული. ამ მიზეზთა შედეგად 1856 წელს ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესების დადგმები მხოლოდ მოყვარული თეატრალების მიერ ხორციელდებოდა

ქართული სასცენო ხელოვნების ახალი, ძლიერ ნაყოფიერი პერიოდი 1879 წელს დაიწყო, როდესაც თბილისში მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით ქართული პროფესიული დრამატული თეატრის გახსნას მიაღწია. ერთი წლის შემდეგ დრამატული თეატრი ქუთაისშიც გაიხსნა. ამ პერიოდში ქართული დრამატული თეატრების სცენებზე გამოჩნდნენ ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, რომლებმაც ქართული თეატრალური ხელოვნება მაღალ დონეზე აიყვანეს..

# ადამიანები, რომლებმაც განსაზღვრეს ჩემი ცხოვრების მიმართულება

დიდი ხანია ვაპირებ მოგონებების დაწერას. ახლა, ასაკის გამო, კიდევ უფრო მომეძალა ამ განზრახვის შესრულება. თანაც მინდა ყველაფერი ზუსტად გავიხსენო.

1949-50 სასწავლო წელს დავამთავრე ჩემი სოფლის — ჯაბნიძეების რვაწლიანი სკოლა და სწავლა განვაგრძე მეზობელი უჩამბის საშუალო სკოლაში. ეს იყო ახალადდაფუძნებული შუახევის რაიონში პირველი საშუალო სკოლა, ამიტომ აქ არა მარტო შუახევის რაიონის რვაწლიანი სკოლებიდან მოსულები აგრძელებდნენ სწავლას, არამედ მეზობელი ქედის რაიონის დანდალოს, ხარაულას და ცხმორისის სკოლებიდანაც. უჩამბის საშუალო სკოლას მაშინ ნორმალური მატერიალური ბაზა გააჩნდა: ახლადაშენებული დიდი, გრძელი სასკოლო შენობა, საერთო საცხოვრებელითა და ინტერნატით შორეული სოფლებიდან მოსული მოსწავლეებისათვის, სამჯერადი უფასო კვებით.

საშუალო განათლების მისაღებად მე კარგი საფუძველი მომიმზადდა ჩემი სოფლის რვაწლიან სკოლაში. აქ ჩამომიყალიბდა სწორედ სწავლის დიდი ჟინი. ეს ჟინი და შემართება, ერთი მხრივ, გამომიმუშავეს ჩემმა მშობლებმა, მეორე მხრივ — სკოლის მასწავლებლებმა: გასული საუკუნის 40-50-იან წლებშიც ზემო აჭარის სკოლების მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსულები იყვნენ. ისინი ძალისა და ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ და სასურველ შედეგებსაც აღწევდნენ.

დაწყებით კლასებში რომ ვსწავლობდი, გერმანიასთან ომი ახალდაწყებული იყო. ომმა საზარელი გაჭირვება მოგვიტანა; თან მოქმედებდა ლოზუნგი: „ყველაფერი ფრონტისათვის!“ მშობლები ცდილობდნენ გაჭირვება თავიანთ თავზე გადაეტანათ, შვილები შეძლებისდაგვარად დაეცვათ მისი გავლენისაგან.

ახლა ცოტა ხნით ისევ რვაწლიანი სკოლის დრო უნდა გავიხსენო. მე დაწყებითი კლასებიდან მოყოლებული მთელი რვაწლიანი სკოლის პერიოდში ჩამოიმყალიბდა ასეთი დისციპლინა: არასაპატიო მიზეზებით არ გამიცდენია არცერთი გაკვეთილი. სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, მალე ვიწყებდი მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადებას (საათმაშო და გასართობი ბევრი არაფერი მქონდა). სკოლა ჩემი სახლიდან სამი კილომეტრით იყო დაშორებული, აღმართ-დაღმართი გზით. გაკვეთილებს ვამზადებდი სასწავლო ცხრილის თანმიმდევრობით: სანამ წინა გაკვეთილს არ მოვამზადებდი „ფრიადზე“, მომდევნოზე არ გადავიდოდი („ფრიადს“ მე თვითონ ვუწერდი საკუთარ თავს: ვიცოდი როგორ ცოდნაში წერდნენ მასწავლებლები „ფრიადს“). დილით გაკვეთილების გადამეორების გარეშე სკოლაში არ წავიდოდი. ომის დროს სახლში საათი არ გვქონდა და მამლების ყივილზე ვიღვიძებდი. ერთი მეზობლის მამალი ნამეტარი ადრე ყიოდა, რა გზა მქონდა, მე უნდა გამეღვიძა და ლოგინთან დაკიდებული ნავთის ლამპის შუქზე დამეწყო გაკვეთილების განმეორება (ჩვენს სოფელში მაშინ ელექტროგანათება არ იყო). თუ კარგად გადავიმეორებდი და დრო მომრჩებოდა, ისევ ჩავიძინებდი (იმ მამლის ბრალი იყო, ადრე რომ ყიოდა. ამაზე ბაბუაჩემი ამბობდა: „ომის დროს მამლები ადრე ყივიანო“).

ასეთი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ მშობელთა კრებაზე მასწავლებლებს ქებით ცაში ავყავდი. განსაკუთრებით მანებივრებდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კლავდია თათარიშვილი. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლიან შესწავლასთან ერთად იგი ქართულ ლიტერატურაშიც დიდ ინტერესს მიღვივებდა. მან მასწავლა მხატვრული კითხვა: მაშინ მოდად იყო ქცეული საპირველმაისო და საშვიდნოემბრო საზეიმო კრებებზე სკოლის მოსწავლეთა გამოსვლა ლექსების მხატვრული კითხვით. მსიამოვნებდა, კარგად წარმოთქმული ლექსისთვის დიდხანს ტაშს რომ მიკრავდნენ. ძალიან მოვწონდი რუსული ენის მასწავლებელს ვახტანგ ჯიბლაძეს, რომელიც ხშირად იტყოდა ხოლმე: „ჩვენი რომანი ბამბასავით ისრუტავს გაკვეთილებსო“ (ერთხანს ვერ ვიგებდი რას ნიშნავდა ეს გამოთქმა, თუმცა იმას კი ვხვდებოდი, რომ მასწავლებელი მაქებდა). ადვილი წარმოსადგენია მშობლების სიხარულიც. ისინი სულ მეფერებოდნენ და მანებივრებნენ. მე კი აქედან მხოლოდ სწორ დასკვნებს ვაკეთებდი: საშუალო სკოლაში კიდევ უფრო გამეძლიერებია სწავლა და თავისთავზე მუშაობა, საფუძვლიანად მოვმზადებულიყავი უმაღლესში შესასვლელად. ასეც მოხდა.

უჩამბის საშუალო სკოლაში საწვლის დროს საერთო საცხოვრებელში ბინა მომცეს და ინტერნატშიც ჩამწერეს. სახლში მხოლოდ შაბათ-კვირას ვბრუნდებოდი. ცხოვრების პირობების შეცვლას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ჩემს სასწავლო რეჟიმზე, იგი ოდნავ შეიცვალა: გაკვეთილების სწავლა და განმეორება ღამის 12 საათამდე უნდა მომესწრო — ამ დროისათვის უჩამბის ელექტროსადგური ჩერდებოდა, მამილების ყივილზე ლამპის ანთება აქ არ შეიძლებოდა, რადგან ოთახში 4 მოსწავლე ვცხოვრობდით; ერთი სიტყვით, ყველფერს დღისით ვასწორებდი. ეს რეჟიმი ჯანმრთელობისთვისაც უკეთესი იყო. როგორც მოსწავლემ, აქაც გამოვიჩინე თავი და მასწავლებელთა და სკოლის დირექტორის, ღრმად პატივცემული პიროვნების ივანე ბარაბაძის ყურადღება მივიქციე. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივნადაც ამირჩიეს, რითაც გამიჩნდა ახალი საქმე და პასუხისმგებლობა. ყველაზე მთავარ საქმედ მაინც სწავლა-მეცადინეობის გაძლიერება და საშუალო სკოლის ოქროს, ან ვერცხლის მედალზე დამთავრება მიმაჩნდა. ორივე მედალს ერთნაირი ძალა ჰქონდა და ატესტატზე ერთნაირად ეწერა: „ამ ატესტატის მფლობელს უფლება აქვს უგამოცდოდ შევიდეს სსრ კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.“ XI კლასში რომ ვიყავი, მოსწავლეთა საცხოვრებლიდან ნათესავის ბინაში გადავედი და დღის რეჟიმით მუშაობას ისევ ღამის რეჟიმიც დავამატე: აქ უკვე ლამპის შუქზეც შეიძლებოდა მუშაობა. შუაღამისას ვდგებოდი და ვმუშაობდი ქართული და რუსული ლიტერატურის საწერ თემებზე. ეს მალე შემამჩნია ოჯახის უფროსმა, კეთილშობილმა ადამიანმა სულა ბერიძემ; ჯერ მე გამაფრთხილა, ღამეების თევა არ შეიძლებაო, რომ ვერ გამომასწორა, მშობლებთან გამასაჩივრა: „ბიჭი ღამეებს ათევს და მეშინია ჯანმრთელობაზე არ იმოქმედოსო.“ ამის შემდეგ ღამეების თევას ვუკელი, მაგრამ დილაადრიან მაინც ვიღვიძებდი გაკვეთილების გადასამეორებლად და საწერი თემების მოსაწერისგებლად.

მახსოვს, უჩამბის საშუალო სკოლა ახალდაარსებული შუახევის რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში იყო. რაიკომის პირველი მდივანი, მაშინ ახალგაზრდა ენერგიული კაცი, ლევან უკლება ჩემი სწავლის დროს ორჯერ მოვიდა სკოლაში. ერთხელ მე, როგორც სასკოლო პირველადი კომკავშირული ორგანიზციის მდივანს, პირადი გასაუბრება მომიწყო, პარტიის XIX ყრილობის მასალებზეც შემეკითხა. ჩვენ ეს მასალები ისტორიის გაკვეთილებზე გვქონდა შესწავლილი. დირექტორს უთხრა, ეს ახალგაზრდა პარტიის რიგებში მიიღეთო, მაგრამ მაშინ არ შეიძლებოდა, რადგან 18 წლის შესრულებას ნახევარ წელზე მეტი მაკლდა). განათლების სამინისტროდანაც მოდიოდნენ სკოლაში შემოწმებაზე. X კლასში რომ ვიყავი, ერთ-ერთი ასეთი ინსპექტირების დროს ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე გვესწრებოდა საქვეყნოდ ცნობილი ქალბატონი, ნიჭიერებითა და ობიექტურობით გამორჩეული შუშანა გუნია. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება გვქონდა გაკვეთილად და „მერანი“ — საზეპიროდ. იმდენად მოწონებოდა ჩემ მიერ წარმოთქმული „მერანი“, რომ მასწავლებელ პავლე ნაცვლიშვილისთვის უთქვამს: „მე მეგონა ნ. ბარათაშვილი თვითონ კითხულობდა „მერანსო“. (ბატონ პავლეს მაშინ ბათუმის პედინსტიტუტი ახალდამთავრებული ჰქონდა და განანილებით უჩამბის სკოლაში მუშაობდა). ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ მისი გავლენა მომდევნო წელსაც გამოჩნდა, კერძოდ, განთლების სამინისტროდან ქართული წერის გამოცდაზე დასასწრებად ინსპექტორებს რომ გზავნიდნენ, ქალბატონ შუშანას თვითონ მოეთხოვა უჩამბის სკოლაში წასვლა გამოცდაზე დასასწრებად.

XI კლასში ქართულ ლიტერატურას სხვა მასწავლებელი — გიზო ცინცაძე გვასწავლიდა (ბატონი პავლე ბათუმში დაბრუნდა სამუშაოდ). გამოცდის დაწყებამდე ქალბატონ შუშანას მოვეკითხე. ამის შესახებ მასწავლებელმა მითხრა და თან გამაფრთხილა, აბა შენ იცი, როგორ დინჯად და კარგად დაწერ თემასო. პაკეტის გახსნის შემდეგ მე ავირჩიე თემა: „სტალინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.“ ცოტა მოფიქრების შემდეგ დავიწყე თემის წერა. ირიბად გახედვით, გზადაგზა ვამჩნევდი ქალბატონ შუშანას ჩემკენ მოპყრობილ მზერას. როგორც მასწავლებელმა მითხრა, ჩემი ნაშრომი მან გაასწორა. ნაშრომი მოწონებოდა, „ფრიადს“ ვწერო უთქვამს, მაგრამ მანამდე მაინტერესებს ამ ყმაწვილთან შეხვედრაო. ჩვენ გულის ფანცქალით ველოდებოდით თემების გასწორებას: ზოგი მეზობელ საკლასო ოთახში ვუცდიდით შედეგებს, ზოგი — სკოლის ეზოში. მე გამომიძახეს და წარმადგინეს ქალბატონ შუშანასთან; მეუბნება: შენ შარშან „მერანი“ რომ წარმოთქვი, ხომ ის ბიჭი ხარ? დიახ, ვუპასუხე მე. ყოჩაღ, თემაც კარგად დაგიწერია, მაგრამ მე მაინც გამიჩნდა ასეთი შეკითხვა: ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სტალინის სახის წარმოჩენას რატომ იწყებ შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“ და რატომ ამთავრებ იოსებ ნონეშვილის ლექსით, — „მამავ, ძვირფასო?“ ვუპასუხე: იმიტომ, რომ მე შევეცადე ამ თემაზე არსებული უხვი მასალა დამელაგებინა ბელადის ცხოვრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობთაც. ამ შემთხვევაში შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“ პირველად იმიტომ განვიხილე, რომ აქ სტალინის სიჭაბუკის პერიოდია ასახული, ხოლო იოსებ ნონეშვილის „მამავ, ძვირფასო!“ ბოლოს იმიტომ მოვაქციე, რომ აქ სტალინის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარებაა მოცემული. ყოჩაღ, მითხრა. ამის გაგება მინდოდა და მივიღე ამომწურავი პასუხიო. შემდეგ მასწავლებლისთვის ეთქვა: „ახალგახსნილ საშუალო სკოლებში, სადაც ვესწრებოდი წერით გამოცდებს, „ფრიადს“ ჩემი ხელით პირველად აქ ვწერო.“

მაპატიოს მკითხველმა, ამ დეტალების გახსენება, ცოტა ტრაბახის ტონითაც (თუმცა სინამდვილე ასე იყო) იმიტომ დამიჭრდა, რომ მან დიდი გავლენა იქონია ჩემს მომავალ ცხოვრებაზე. დანარჩენი გამოცდებიც „ფრიადებზე“ ჩავაბარე და მომანიჭეს ოქროს მედალი. მაგრამ ნათქვამია, „ცხოვრება მოულოდნელობებით არის აღსავსეო“. ალბათ, ეს გამოთქმა მაშინ ყველაზე მეტად ჩემზე იყო მორგებული. ოქროს მედლის ატესტატის მოლოდინში, სამწუხარო ამბავი მოვიდა: ჩემი მედალი გაეუქმებინათ აჭარის განათლების სამინისტროში, მათემატიკისა და რუსული წერითი ნამუშევრების „ფრიადებიდან“ „კარგებზე“ ჩამოფასებით. საკმარისი იყო, ამ ორიდან ერთში დაეტოვებინათ „ფრიადი“, ვერცხლის მედალი შემრჩებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ XI კლასში 3-4 ვიყავით მედლის კანდიდატები და მხოლოდ ორმა — ოთარი თურმანიძემ და მე ჩავაბარეთ გამოცდები მედლებზე (ამასთან დაკავშირებით, მედლის კანდიდატების ერთ-ერთ მშობელს განცხადება შეეტანა აჭარის განათლების სამინისტროში: სკოლაში ზოგიერთს დაეხმარნენ მედლის მიღებაში და ზოგს არაო). ამას მოჰყვა სამინისტროში წერითი ნამუშევრების გადასინჯვა და შეძლებისდაგვარად შეფასებათა ჩამოქვეითება (მედლის გაუქმების მიზნით). არც გაემტყუნებოდათ. მაშინ დაწესებული იყო მკაცრი კონტროლი მედლის მინიჭებაზე; თუ უმაღლესში უგამოცდოდ მოწყობილი მედალოსანი პირველ სემესტრში გამოცდების შედეგად მიიღებდა დაბალ ნიშნებს, ან არადამაკმაყოფილებელს, პასუხს თხოვნდენ სკოლასაც და განათლების სამინისტროსაც.

ჩემი მედლის გაუქმების ამბავი სწრაფად გავრცელდა. ბატონი ლევან უკლება ტელეფონით დაკავშირებოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის განათლების მინისტრს ბატონ ვახტანგ ახვლედიანს და ეთქვა: მაგ ბავშვს მე პირადად ვიცნობ, ძალიან კარგად სწავლობდა და მედალიც დამსახურებულად მიანიჭეს, გთხოვთ არ დაჩაგროთ უსაფუძვლოდ, თუ შეიძლება გადახედეთ თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასო. ბატონმა ვახტანგმა გულთან მიიტანა რაიონის პირველი პირის თხოვნა და ასე უპასუხა: ამის გაკეთება შესაძლებელია იმ პირობით, თუ ეს ბავშვი გასაუბრებაზე გამოცხადდება განათლების სამინისტროშიო. სკოლიდან გამაგებინეს, რომ ბა-

თუმში მომიწევდა წამოსვლა, მანამდე კი ლევან უკლებამ თავისთან დამიბარა და მომცა ასეთი გაფრთხილება: დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდე განათლების სამინისტროში გასაუბრებაზე, შეიძლება რომელიმე საგანში გამოცდის განმეორებით ჩაბარებაც მოგიწიოს; უკან არ დაიხიო, იყავი თამამად და გაბედულადო. უცებ ახალი პრობლემა გამიჩნდა: 18 წელი კი მქონდა უკვე შესრულებული, მაგრამ პასპორტი არ მქონდა აღებული. იმახანდ შუახევი-ბათუმის გზაზე ორ ადგილას იყო სასაზღვრო გამშვები საკონტროლო პუნქტი, პასპორტის გარეშე ბათუმში ვერ ჩახვიდოდი. ეს გაახსენდა მამაჩემს, რომელიც თან მახლდა რაიკომში შესვლისას. ბატონმა ლევანმა აქაც გამიწია ოპერატიული დახმარება, გადაურეკა მილიციის განყოფილებაში და უთხრა: თქვენთან მოვა უჩამბის სკოლადმთავრებული რომან ზოსიძე, მიყევით მესურათესთან, გადაუღეთ სურათი და დღესვე გაუფორმეთ პასპორტი, რომ ხვალ შეძლოს ბათუმში წასვლა. მეორე დღეს დილას საპასპორტო განყოფილებაში დამახვედრეს პასპორტი და მე მამაჩემის თანხლებით წავედი ბათუმში. შუადღისას გამოვცხადდით განათლების სამინისტროში. ბატონ ვახტანგ ახვლედიანს მიმღებში მომუშავე ქალბატონი გაეფთხილებია, შეუახევიდან რომ ბავშვი ჩამოვა, ურიგოდ გამოუშვით ჩემთანო. ასეც მოხდა, მე და მამაჩემი ორივე მიგვიღო მინისტრმა. ვყელაფერი გულდასმით აგვიხსნა და მე მითხრა: გამოცდების განმეორებით ჩაბარებას არ მოვითხოვთ შენგან, მხოლოდ გადავხედავთ მათემატიკისა და რუსულის წერით ნამუშევრებს, ვნახავთ რის გამო ჩამოგიქვეითეს რეცენზენტებმა „ფრიადი“ შეფავსებები „კარგებზე“. ამ დროს შენ მოგიწევს დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა. სულ ეს არის და ეს.

მეორე დღეს 12 საათზე მინისტრის კაბინეტში ვიყავით დაბარებული. ცოტა ადრე გამოვცხადდით მე და მამაჩემი (მანამდე ბათუმში, პატარაობისას, სულ ორჯერ ვიყავი ჩამოსული, ამიტომ მახლდა მამაჩემი). ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო ქალბატონ შუშანა გუნიას ქომაგობა. თურმე მასაც შესთავაზეს ქართულში ჩემი ნაშრომის რეცენზირება და საჭირო შემთხვევაში ნიშნის ჩამოქვეითება. მან კი ბატონ მინისტრს შეახსენა, რომ ამ გამოცდას თვითონ ესწრებოდა და შეფასება „ფრიადი“ მისი ხელით დაწერა. ეს მან მითხრა მინისტრთან შესვლამდე, თავის კაბინეტში, თან მამხნევებდა: გაბედულად უპასუხე დასმულ შეკითხვებს, ისე როგორც მე მიპასუხე უჩამბაში ქართული წერითი ნაშრომის გასაოცრად ზუსტი თანმიმდევრობის შესახებ (რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი). იმ გამოცდაზე რომ არ ვყოფილიყავი, მეც შეიძლება ეჭვი გამჩენოდა და მეფიქრა: ეს ნაშრომი გარედან შეტანილი შაპარგალკა შეიძლება იყოს, გამოცდის პროცესში მოსწავლე ასე კარგად ვერ დაალაგებდა და ვერ დაწერდაო. დაახლოებით ასეთი მოსაზრებით არის ჩამოფასებული შენი სხვა ნაშრომებიც. აბა შენ იცი, როგორ ყოჩაღად დაიცავ შენს ნაწერებს მათემატიკასა და რუსულში. მე შენი გულშემატკივარი ვარ და ბატონი ვახტანგ ახვლედიანიც ძალიან დაინტერესებულია შენი წარმატებით.

დადგენილ დროზე შემიშვეს მინისტრის კაბინეტში. მათემატიკაში ჩემი წერითი ნამუშევარის რეცენზია გაეკეთებია ბატონ სილოვან დადუნაშვილს, რომელიც მაშინ სამინისტროში სასკოლო ინსპექტორად მუშაობდა. აღმოჩნდა, რომ ბატონ სილოვანს შვებულება აეღო და საზაფხულოდ ისვენებდა სხვაგან, ამიტომ გამოიძახეს სხვა მასწავლებელი, რომელმაც წაიკითხა ბატონ სილოვანის მიერ დაწერილი რეცენზია ჩემს წერით ნაშრომზე (ეს იყო ამოცანა, რომელიც ეხებოდა მართი სამკუთხა პრიზმის მოცულობის გამოთვლას). ბატონი სილოვანი რეცენზიაში აღნიშნავდა, რომ ნაშრომი შესრულებულია სრულყოფილად და იმსახურებს მაღალ შეფასებას — „ფრიადს“. მაგრამ აქ ერთ ადგილას არის გაანგარიშების შეკუმშული დაწერა, რაც აშკარად აღემატება მოსწავლის მათემატიკური აზროვნების უნარს, რის გამოც რჩება შთაბეჭდილება, რომ ნაშრომი გადაწერილია შეტანილი შპარგალკიდან. ამის გამო მოხდა ჩამოფასება „ფრიადიდან“ „კარგზე“. როცა შემმოწმებელი შემეკითხა, რატომ შეკუმშე და სრულყოფილად (გაშლილად) არ დაწერე ნაშრომის ეს ადგილი, მე ვუპასუხე: დროის სიმცირის გამო (ჩემი მასწავლებელი მოვიხმე და შევეკითხე: შეიძლება თუ არა ეს გაანგარიშება დავწერო შეკუმშულად, რაზეც მივიღე დადებითი პასუხი და ამიტომ არის ასე. მე შემიძლია ახლა აქ გაშლილად დავწერო, თუ ნებას მომცემთ. სწორედ ეს გვინდაო, თქვა მინისტრმა ღიმილით და მე გავშალე შეკუმშული ფორმულა. სამინისტროში მოწვეულმა მასწავლებელმა (სამწუხაროდ, მისი ვინაობა მაშინ არ დამიდგენია) თავის ქნევით შეამოწმა შეკუმშული ფორმულის გაშლილი ვარიანტი და დასძინა: ყოჩაღ, არაფერი სადავო აღარ არისო! უფრო მეტი სიხარული და კმაყოფილება ამოვიკითხე ბატონ ვხატანგ ახვლედიანის სახეზე. მინისტრმა მკითხა: მედალი რომ დაგიბრუნდეს, სად აპირებ სწავლის გაგრძელებასო? ვუპასუხე: მოსკოვის უნივერსიტეტში შეიძლება გავაგრძელო სწავლა, მდიდარი სიძე მყავს, შუახევიდან ახალსოფელშია ჩამოსახლებული და ახლა გონიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯომარეა. ის მპირდება დახმარებას. თუმცა ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, სად წავალ სწავლის გასაგრძელებლად. აი აქ დავუშვი შეცდომა. ალბათ, მინისტრმა იფიქრა უჩაბმაში ნასწავლი რუსულით როგორ ბედავს მოსკოვში სწავლის გაგრძელებასო და მეორე დღეს დამიბარეს რუსულ თემაზე გასაუბრებისათვის. ცოტა არ იყოს, მეშინოდა კიდეც. ისევ 12 საათზე უნდა გამოვცხადებულიყავი. რუსული წერითი ნამუშევარის რეცენზენტი იყო მაშინაც და შემდეგშიც საქვეყნოდ ცნობილი განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი კალე ბოლქვაძე. რუსულის თემა ფადეევის შემოქმედებას ეხებოდა, საკონტროლო წერის დროსაც მქონდა ამ თემაში „ფრიადი“ შეფასება. ამ გამოცდაზე მეტი შეღავათი მომცეს და თავი გავართვი მის დაწერასაც (გადაწერამდე მასწავლებელმა გადახედა).

ბატონმა კალემ დახედა ტექსტს და მომცა ასეთი შეკითხვა: „დასაწყისში შენ გიწერია — Выдающийся русский писатель Фадеев... პირველ სიტყვაში щ-ს შემდეგ რატომ გიწერია и და არა ы. მერე ეს რუსულადაც შემეკითხა. მეც რუსულად ვუპასუხე: После шипяших ы не пишется. ამის შემდეგ მთხოვა სამივე დროში, მხოლობით და მრავლობით რიცხვში მეუღლებია ზმნა «Читать» (თავი კარგად გავართვი). შემდეგ მთხოვა მებრუნებია არსებითი სახელი: «Книга» (აქაც უშეცდომოდ შევასრულე დავალება), და ვხედავ, თავისი ჩანთიდან ამოიღო წიგნი, აღმოჩნდა მაშინდელი VII კლასის რუსულის სახელმძღვანელო, გადაშალა და მითხრა: წაიკითხე და თარგმნეო. როცა დავხედე ტექსტს, ვუთხარი ეს ტექსტი ზეპირად ვიცი-მეთქი. მეუბნება: VII კლასში ნასწავლი, XI კლასში ზეპირად საიდან იციო. მე ვუპასუხე: მაშინ ლექსებსა და პატარა მოთხრობების ტექსტებსაც ვიზეპირებდი და ქართულად ვთარგმნიდი-მეთქი. წიგნის მექანიკურად გადაშლის შემდეგ, სწორედ ერთი ასეთი, თავის დროზე დაზეპირებული და XI კლასამდე კი არა აქამდე ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილი ტექსტი აღმოჩნდა, სათაურით: «Под знаменем партии Ленина-Сталина», ამ სათაურის თარგმანი სწრაფად გავაკეთე, წიგნი დავხურე და დავიწყე ტექსტის ზეპირად წარმოთქმა: «Радостно и счастливо живет наша страна. Как яркий маяк светит Советский Союз...» მთლიანად ეს ტექსტი ნახევარ გვერდზე ცოტა მეტი იყო. ბატონი ვახტანგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. გამომცდელი კი მეუბნებოდა: «Молодец!» ბატონი ვახტანგი მეუბნებოდა: „ყოჩაღ, კარგი ბიჭი ყოფილხარ!“. სწორედ, ჩემ თვალწინ გააუქმეს ნიშნის ჩამოფასების რეცენზია და დამიბრუნეს „ფრიადი“ შეფასება რუსულში. რაც შეეხება მათემატიკას, შვებულებაში მყოფ ბატონ სილოვანს ვერ დაუკავშირდნენ და მის ნაცვლად მოწვეული მასწავლებლის მიერ ნიშნის ამაღლება, რატომღაც არ ჩათვალეს მიზანშეწონილად. თუმცა მეტი რა მინდოდა, დამიბრუნდა ვერცხლის მედალი, რომელსაც ოქროს ძალა და გავლენა ჰქონდა. სიხარულით ვიყავი შეპყრობილი და იგი უსაზღვრო გახდა მაშინ, როცა კაბინეტის კარი გაიღო და შემოვიდნენ ქალბატონი შუშანა გუნია და მამაჩემი, რომელიც მოსაცდელში იჯდა. ქალბატონმა შუშანამ იგი მოსალოცად და ორმხრივი მადლობის სათქმელად შემოიყვანა კაბინეტში.

მინისტრის კაბინეტიდან გამოსვლის წინ ბატონი ვახტანგი კვლავ შემეკითხა: გვითხარი, მაინც სად გააგრძელებ სწავლას? ვუპასუხე: ან ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოსკოვში არ წახვალ? შემეკითხა მინისტრი. არა, მოსკოვი გადავიფიქრე-მეთქი, ვუპასუხე. შენი და შენი მშობლების ნებაა, სად წახვალ, ყველგან გვიგულე შენს გულშემატკივრებად, გზა დაგვილოცნია სწავლის დიდ სარბიელზეო, ბრძანა მინისტრმა. მე და მამაჩემი ავდექით და მადლობა, მადლობის ძახილით გამოვედით ბატონი ვახტანგის კაბინეტიდან.

ცხრა-ათი დღის შემდეგ სკოლაში მიიღეს ჩემი მედლის ატესტატი. გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მანამდე თბილისში ნამყოფი არ ვიყავი და გამაყოლეს ჩემი დის მამამთილს (მას თავისი საქმეც ჰქონდა თბილისში). თბილისში საბუთების ჩატანა 1953 წელს 20 ივლისის შემდეგ მომიხდა. ეს დრო საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა მედლის ატესტატის მფლობელისათვის. უნივერსიტეტის მაშინდელი წესების მიხედვით დადგენილი იყო თითოეულ სპეციალობაზე მედლის ატესტატით რამდენი საბუთი უნდა მიეღოთ, რომ დარჩენილიყო საკონკურსო ადგილებიც. იურიდიულ ფაკულტეტზე ამ დროისათვის მედალოსანთა რაოდენობა შევსებული იყო და უარი მითხრეს საბუთების მიღებაზე. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა ეკონომიკის ფაკულტეტზე. საკმაოდ შეწუხებული სახით გადავინაცვლე ფილოსოფიის ფაკულტეტის სამდივნოსთან. იქაც ანალოგიური მდგომარეობა დამხვდა. მაგრამ საბუთების მიმღები ქალბატონი ყურადღებიანი აღმოჩნდა, მასწავლა, განცხადებით შევსულიყავი უნივერსიტეტის რექტორთან და მომეთხოვა ფილოსოფიის სპეციალობის I კურსზე მედალოსნის ერთი ადგილის დამატება, თან დამარიგა, როგორ დამეწერა ეს განცხადება. ასე მოვიქეცი.

როგორც ცნობილია, თბილისის უნივერსიტეტის რექტორად 1945 წლიდან 1953 წლის ივლისამდე მუშაობდა სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი ნიკო კეცხოველი. მე განცხადების დაწერა მომიხდა ახლადდანიშნული რექტორის ბატონი ილია ვეკუას სახელზე. რექტორთან ხალხის რიგი არ იყო და მალე მომიწია შესვლა. როცა განცხადებაში ამოიკითხა: „ჩამოსული ვარ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის რაიონიდან,“ ცოტა საეჭვოდ ამათვალიერა და მითხრა: „რომ ჩაგრიცხოთ, შეძლებ ამ სპეციალობაზე სწავლასაო.“ ვუპასუხე: „მაინტერესებს და შევძლებ“-მეთქი; და დაადო რეზოლუცია: „მიიღეთ საბუთები.“ საკმარისი იყო, ბატონ ილიას უარი ეთქვა, არ დაემატებია ერთი მეადლოსნის ადგილი, სხვაგან წასასვლელი გზა აღარ მქონდა და დავბრუნდებოდი ბათუმში. ამ შემთხვევაში რექტორმა განსაზღვრა ჩემი ცხოვრებს ბედი, ისე როგორც რამდენიმე დღის წინ ეს გააკეთეს ბატონებმა ვახტნაგ ახვლედიანმა, კალე ბოლქვაძემ და ჩემმა დიდმა გულშემატიკვარმა ქალბატონმა შუშანა გუნიამ.

აქ მინდა დავამთავრო მოგონებების პირველი ნაწილის წერა, მაგრამ ერთი მომენტი მაინც უნდა დავამატო: უჩვეულოდ ბედნიერი სტუდენტობა მქონდა. ვცხოვრობდი სტუდქალაქში (ბინის თვიური გადასახადი 2 მანეთს შეადგენდა, ფრიადოსნის სტიპენდია საკმაოდ მაღალი იყო). ძალიან მალე შემიყვარდა უნივერსიტეტი და თბილისი. სწავლა უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე ველოდი. მალე გავხდი უნივერსიტეტისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკების აქტიური მკითხველი. კიდევ უფრო გამეზარდა სწავლის ჟინი. აქ მეხმარებოდა სკოლის პერიოდის გამოცდილებაც და შედეგმაც არ დააყვონა, პირველი სემესტრის ყველა გამოცდა ფრიადებზე ჩავაბარე. ზამთრის არდადეგებზე სახლში წამოვედი. ბათუმში ჩამოსვლისთანვე ჩემთვის ცნობილი განათლების სამინისტროში ინსპექტორების კაბინეტს მივაკითხე და ქალბატონ შუშანა გუნიას ვაჩვენე მატრიკული. გადამკოცნა და მითხრა, ახლავე დავრეკავ შუახევის განათლების განყოფილებაში და ყველას გავაგებინებ შენს სასიხარულო წარმატებასო. ასეც მოხდა.

სწავლისათვის არც შემდეგ მიღალატნია. ჩემი უნივერსიტეტის დიპლომის დანართში მხოლოდ ორი „კარგი“ ფიგურირებს, დანარჩენი სულ „ფრიადებია“. ახლაც სათუთად ვინახავ თბილისის უნივერსიტეტდამთავრებულის სამკერდე ნიშანს, რომელიც მაშინ პატივისა და ღირსების აღმნიშვნელი სიმბოლო იყო.

**P.S. კორესპონდენტი: ბატონო რომან, მოგონებები თქვენი ცხოვრების ადრინდელ პერიოდზე მეტად მგრძნობიარე, შთამბეჭდავი და დამაჯერებელია. ამასთანავე, ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ თქვენ განიცდით სოციალიზმის ნოსტალგიასაც. გთხოვთ გვიპასუხოთ, მართლაც ასეა?**

**რომან ზოსიძე: არ არის ასე. მართალია ნოსტალგია წარსულის მოგონებებით გამოწვეულ სევდასაც ნიშნავს; მაგრამ მე ამ მოგონებებს ზუსტად ასე დავწერდი ჩემი მოსწავლეობისა და სტუდენტობის პერიოდშიც (ე.ი. გასული საუკუნის 50-იან წლებში) რომ ყოფილიყო კაპიტალიზმი ჩვენთან დაბრუნებული. რა თქმა უნდა, მაშინ საქმე სხვა ადამიანებთან მექნებოდა. მე განვიზრახე მოგონებებში მეჩვენებინა, ერთი მხრივ, ჩემი ცხოვრების ადრინდელი პერიოდი, მეორე მხრივ, ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი პატიოსნებითა და ქვეყნისათვის უანგარო სამსახურით მეც გამიწიეს საჭირო დახმარება და განსაზღვრეს ჩემი ცხოვრების მომავალი. დამიჯერეთ, აქ სოციალიზმის ნოსტალგია არაფერ შუაშია.**

**ისე აქ იმის თქმაც მომინდა, რომ ზოგიერთი ადამიანი სოციალიზმთან მიმართებაში ჩვენს წარსულს ლანძღავს და აფერმკრთალებს. ეს არის ისტორიის დამახინჯება. ასეთ ადამიანებს ვეტყვი: წარსულის უსაფუძვლო ლანძღვით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ, უფრო მეტიც, — ამით ვამახინჯებთ ჩვენს აწმყოსა და მომავალს. ჩემი თუ არ გჯერათ, დაუჯერეთ დიდ ილიას: „აწმყო შობილი წასრულისაგან, არის მშობელი მომავლისა.“**

**მე, მაგალითად, დღესაც გამოსაყენებლად მიმაჩნია გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტების მიერ წამოყენებული პრინციპი: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“, ან კიდევ მათ მიერ დამკვიდრებული „კრიტიკა და თვთიკრიტიკა“. ამჟამად ჩვენს ხელმძღვანელ პარტიებში დაწესებულია თავის წარმოჩენა და სხვათა კრიტიკა, თვითკრიტიკა მთლიანად უგულვებელყოფილია. თუ ხელმძღვანელი პარტიები კრიტიკასთან ერთად დააწესებენ თვითკრიტიკასაც, მაშინ პარტიათა სიმრავლე საქართველოში მინიმუმამდე შემცირდება, მათ არსებობას აზრი დაეკარგება, რადგან საჩხრეკი აღარაფერი დარჩებათ.**

# სასიქადულო მამულიშვილი, პედაგოგი და ღირსეული შვილების აღმზრდელი

**შეხვედრა როსტომ აბაშიძესთან ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სურათზე მარცხნიდან: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი რომან რურუა, რექტორი, პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები – გურამ საღარაძე და დავით გობეჯიშვილი.**

მისასალმებელია, რომ 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოსაცემად მზადდება ყოვლისმომცველი წიგნი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს სამ გზის ჩემპიონზე, ბეჭდაუდებელ ფალავანზე როსტომ აბაშიძეზე, ვისაც მკითხველი ძირითადად ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სპორტული თემატიკის პუბლიკაციებით იცნობს. ბუნებრივია, ნებისმიერი ადამიანის ღირსეულ პიროვნებად ფორმირებაში განუზომელია ადგილის დედისა და ოჯახური გარემოს როლი. მეც შევეცდები როსტომის ფენომენს ამ კუთხით შევეხო. როსტომ აბაშიძის ცხოვრების საწყისი წლები მწვანე კონცხს უკავშირდება, სადაც ერთხანს მეუღლესთან ნიგარ ხალვაშთან და შვილებთან ერთად ცხოვრობდა და აქ არსებულ სასოფლო-სამეურნოე ტექნიკუმში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა როსტომის მამა, ღვაწლმოსილი პიროვნება ომერ აბაშიძე.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ აქვე მკითხველს გავაცნობთ ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოკლე ისტორიას. აღნიშნული სასწავლებელი დასაბამს 1925 წლიდან იღებს, რაც სპეციფიკური ნიშნით - სუბტროპიკული აგრარული წარმოების ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების ნიშნით შეიქმნა. მისი დაფუძნება განაპირობა ხელსაყრელმა ადგილმდებარეობამ, საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ და მაღალკვალიფიციურმა პედკოლექტივმა. მწვანე კონცხის ლამაზ ბუნებას თავის დროზე მეფის რუსეთის მაღალი თანამდებობის სამხედრო პირები და ვაჭარ-მრეწველები მიუზიდავს, რომლებსაც აქ აგარაკები აუგიათ, მინის ნაკვეთები შეუძენიათ, შესანიშნავი ბაღები, ძირითადად სუბტროპიკული კულტურები გაუშენებიათ.

გასაბჭოების შემდეგ ტექნიკუმმა სწორედ აღნიშნული ტერიტორიის 25 ჰექტარი ფართობი დაიკავა, რის შემდეგ იქცა ცოდნის შეძენის ძირითად წყაროდ, არა მარტო აჭარისა და საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსწავლეებისთვის (1947 წლამდე რუსული სექტორი იყო). თავისი არსებობის მანძილზე მას რვა ათასზე მეტი ტექნიკური და უმაღლესი განათლების მქონე შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული სპეციალისტი და მეცნიერი აღუზრდია.

სასწავლებლის პედპერსონალს შორის ომერ აბაშიძეს ყოველთვის ღირსეული ადგილი ეკავა. 1928 წელს დაამთავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და რექტორატის გადაწყვეტილებით მეცნიერ მუშაკად გააგზავნეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში, სადაც მოღვაწეობდა აგრარული მეცნიერების კორიფე ჩაის სელექციაში, მსოფლიოში გამოჩენილი მკვლევარი ქსენია ბახტაძე, ჩინეთიდან მოწვეული სპეციალისტი ლაო ჯინ-ჯაო და სხვები.

როგორც ახალგაზრდა მეცნიერი ომერ აბაშიძე დაინტერესებული იყო სუბტოპიკული კულტურების მოლა-მოყვანის ინტესიური ტექნოლოგიების დანერგვით. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ლიმონის გართხმული კულტურის საკითხებს. იგი იყო, ასევე, ჩაის პირველი ხელით საკრეფი მექანიკური აპარატის შემქმნელი, რომელსაც დღესაც გაუმჯობესებული სახით იყენებენ ჩაის მრეწველობაში.

ომერ აბაშიძის პედაგოგიური მიღწევები სამეცნიერო მუშაობის პარალელურად დაიწყო. ტექნიკუმში მის ლექციებს მსმენელი არასოდეს მოჰკლებია. სტუდენტებს სჯეროდათ მისი, უმწიკლო და პატიოსანი შრომით იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ლექტორ-მასწავლებელთა შორისაც. გამოირჩეოდა სიახლეების ძიებით, უბრალოებითა და თავდაჭერილობით, აღსაზრდელებსაც ამავე ნიშან-თვისებებს უნერგავდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი, რაზედაც თავის მოგონებაში ამახვილებს ყურადღებას ტექნიკუმის ფრიადოსანი კურსდამთარებული, ხელვაჩაურის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე, აჭარის დამსახურებული აგრონომი ომარ ხალვაში. მისი თქმით ბატონი ომერის უფროსი ვაჟის როსტომის წარმატებებზე მთელი საბჭოეთი ლაპარაკობდა და ეს, რაღა თქმა უნდა სასწავლებელში სათანადოდ აღიქმებოდა. მართალია ომერ აბაშიძე შვილის მიღწევებით ერთობ გახარებული იყო, მაგრამ საჯაროდ ემოციის შეკავებას ყოველთვის ახერხებდა, რითაც შვილის გამარჯვების კანონზომიერებას უსვამდა ხაზს. თუ ადამიანი მოინდომებს ყველაფერს მიაღწევსო-გვმოძღვრავდა მუდამ.

აი, როგორ იხენებს თავისი პედაგოგის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის საქმიანობას აჭარის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ყოფილი მინისტრი, აჭარის დამსახურებული აგრონომი ზურაბ ქათამაძე: „სასწავლო პროცესი მარტო სწავლება არ არის იგი აღზრდასაც გულისხმობს. პედაგოგი მხოლოდ საგნის ცოდნით კი არა, სტუდენტებზე პირადი ქცევით, ცხოვრების პოზიციის გამოხატვით, მათში მაღალ ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებით უნდა ზემოქმედებდეს. ბატონ ომერ აბაშიძის პედაგოგიური მოღვაწეობა სწორედ ამ ღირსებით გამოირჩეოდა. ის ჩვენ გვასწავლიდა ორგანულ და არაორგანულ ქიმიას, ზოგად მიწათმოქმედებას. მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენდნენ აგრეთვე, მის მიერ ჩატარებული ლაბორატორიულ-სემინარული მეცადინეობების მიმართ, რომელსაც ორი გზით წარმართავდა, პირველი როცა თეორიული და ლაბორატორიული მეცადინეობა პარალელურად მიმდინარეობს და მეორე, როდესაც ბევრი ან რომელიმე ქვეთავი ჯერ თეორიულად ისწავლება, ხოლო შემდეგ ცდებით მუშავდება და დასტურდება. როგორიცაა მაგალითად, ნიადაგსა და მცენარეში ნივთიერებათა შემადგენელი ელემენტებისა და სასუქებში აგროქიმიური ანალიზის განსაზღვრა, რომელთაც ბატონი ომერი ჯერ თავად ასრულებდა და შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად ვატარებდით, ვღებულობდით შედეგებსა და შესაბამისი დასკვნებიც გამოგვქონდა, რაც აძლიერებდა საგნებისადმი ინტერესს. ეს ნამდვილად დიდი სკოლა იყო, რაც შემდეგ უმაღლესში სწავლის პერიოდში ერთობ გამოგვადგა, იმ წლებს დღესაც განსაკუთრებული სიამაყით ვიხსენებ. მადლობა მათ ვინც ჩვენს სწავლა-აღზრდასა და მოქალაქედ ჩამოყალიბებას დიდი ამაგი დასდო.

უნდა აღინიშნოს, რომ ომერ აბაშიძის აღზრდილები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ნაყოფიერი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობით. ბევრმა მათგანმა საქვეყნოდაც გაითქვა სახელი. ზემოთ თქმულთა გარდა, მათ შორის არიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორიცაა: მხატვარი დურსუნ ინაიშვილი, პოეტი მამია ვარშანიძე, პოეტი ჯემალ ქათამაძე, მსახიობი სერგო კაიკაციშვილი, მიხეილ ბეჟანიძე (გენერალი, აჭარის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი), ალექსანდრე თხილაიშვილი (პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი), ხასან გირკელიძე, დავით ჯაბნიძე, ნუნუ ჯინჭარაძე, ამირან ანანიძე (აჭარის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი), შოთა სირაბიძე, დავით თებიძე (აჭარის განათლების ყოფილი მინისტრი), მამია კომახიძე (იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), როზა ლორთქიფანიძე (სამი მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, პროფესორი), მურთაზ ყურშუბაძე (აჭარის მრეწველობის მინისტრი), სოფლის მეუნოების მეცნიერებათა დოქტორები: ოთარ ახვლედიანი, ალექსანდრე ბაუჟაზე, თამარ დემეტრაძე, რეზო ბერიძე, შუქრი თავართქილაძე, ზურაბ გოგოლიშვილი, ხასან ბაკურიძე, ანზორ თავართქილაძე, შოთა სირაძე, გივი ჯინჭარაძე. საბჭოთა კავშირის გმირი ელისე ტუღუში. სოციალისტური შრომის გმირები: ნათელა ჩეღებაძე, ხუსეინ მანელიშვილი, საიმე ჯაბნიძე, ბერთლომე ანდრიადი, ნაზი კონცელიძე, ისრაფილ ნაკაშიძე, მაყვალა კორძაია, ულფიე გუგუნავა, შალერი თოდუა, დავით კაპანაძე, ივანე შალიკავა და სხვები.

ომერ აბაშიძის მაღალ კვალიფიციურობას დიდ ანგარიშს, რომ უწევდნენ, იქედანაც ჩანს, რომ როდესაც 1959 წლის იანვარში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე, საქართველოს სასოფლო-სამეუნო ინსტიტუტის ფილიალი გაიხსნა ბატონი ომერი მის დირექტორად დანიშნეს. ხელმძღვანელის რთულ მოვალეობას მან კარგად გაართვა თავი. ფილიალი სადაც ლექციებს თბილისელი და ადგილობრივი მაღალ კვალიფიციური პედაგოგიური კადრები კითხულობდნენ, უმოკლეს დროში გახდა აგრარული სფეროს კადრების სამჭედლო, მისი კურსდამთავრებულები ავსებდნენ საპასუხისმგებლო ვაკანსიებს აჭარისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ბატონი ომერ აბაშიძის დამსახურება და ღვაწლი სათანადოდ აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოვდა მრავალი ორდენითა და მედლით, მისი ამაგი დღემდე ახსოვთ ყოფილ კურსდამთავრებულებს.

ომერ აბაშიძე კოლეგებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩეოდა, გულთბილი დამოკიდებულება გააჩნდა ტექნიკუმის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლის მიხეილ ქავთარაძის მიმართ, რომელმაც 1912 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი. 1930-იანი წლებიდან ისინი ოჯახებით მწვანე კონცხზე გენერალ ბელუცკის #1 აგარაკზე ცხოვრობდნენ. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი მათი შვილების როსტომისა და ანდრის ურთიერთობასაც. ერთად ჭიდაობდნენ და დღემდე განუყრელი მეგობრები არიან. ბატონი ანდრი ღირსეულად იღწვის და კურატორია დასავლეთ საქართველოში ჭიდაობის განვითარების. ეამაყება, რომ სპორტული გზის დასაწყისში აბაშიძის გვერდით იდგა, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია და როგორც უბადლო ფალავანი და მოქალაქე მიმბაძველობის მაგალითი იყო ყველასათვის.

სასიხარულოა, რომ როსტომ აბაშიძის განვლილ ცხოვრებასთან მიმართებით ორ სიმბოლურ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. ცხოვრების გარკვეული პერიოდი მწვანე კონცხს დაუკავშირეს და მისებრ მსოფლიო აღიარებისაკენ ნაბიჯი გადადგეს აჭარის კიდვ ორმა მკვიდრმა, მწვანე კონცხის ტექნიკუმის ბაზაზე დაარსებული ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა მუხრან ვახტანგაძემ და დავით ბედინაძემ, რომლებიც შორეულ ელადაში (ქ. პატრა, 2000) და მეზობელ აზერბაიჯანში (ქ. ბაქო, 2002) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

სამშობლოში დაბრუნებულ დამოუკიდებელ საქართველოს პირველ მსოფლიო ჩემპიონს მუხრან ვახტანგაძეს ინსტიტუტში ნამდვილი დღესასწაული მოუწყვეთ. სტუმართა შორის მოწვეულები იყვნენ სახელგანთქმული მოჭიდავეები, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები: რომან რურუა, ლევან თედიაშვილი, როსტომ აბაშიძე, გურამ საღარაძე, დავით გობეჯიშვილი, დავით ხახალეიშვილი, ვეტერანებს შორის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ანზორ ლაზიშვილი და სხვები. დარბაზი მქუხარე ოვაციებით შეხვდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს როსტომ აბაშიძის გამოსლას, რომელმაც მიულოცა მუხრანს დიდი წარმატება. სიამაყით დასძინა, რომ თვით მილიარდიან ჩინეთს და ინდოეთს არ ჰყავს არც ერთი მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში. მაშინ, როცა საქართველო ტიტულოვანი ფალავნების სამშობლოა. აქვე როსტომმა გაიხსენა მწვანე კონცხზე გატარებული წლები და თავისი დებიუტი სპორტში. წარმატება მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით მიიღწევა. მეამაყება, რომ მუხრანი ჩვენი ქვეყნის მდიდარი საჭიდაო ტრადიციების გამგრძელებელია - აღნიშნა მან.

შემდგომ მუხრან ვახტანგაძის ყოფილმა თანაკურსელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, პოეტმა ნანა კონცელიძე-ჯაბნიძემ წაიკითხა მისდამი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც აქცენტი როსტომ აბაშიძეზეცაა გადატანილი. ამიტომაც აქვე გთავაზობთ.

### გამარჯვება

მოგვენატრა წარმატება,
მუდამ ჩრდილში რაღა გაძლებს,
დიდების და სახელისთვის,
ვლოცავთ მუხრან ვახტანგაძეს.

ასახელა ჩვენი კუთხე,
გაახარა საქართველო,
ოქოს მედლით დაგვიბრუნდა
ჩემპიონი სასახელო!

არწივს მართვეს რა დაულევს,
ერო მოწყენილი ნუ ხარ,
კვლავაც ასე შემართებით
გამარჯვებით გევლოს მუხრან!

გააგრძელე ტრადიცია,
უძლევ როსტომ აბაშიძის,
ბეჭდაუდებ ფალავანის,
რისიც მუდამ ჰქონდათ რიდი.

თურქ ათლის და ყაფლანს ვინაც,
არ აღირსა ყოფა მშვიდი,
სხვის ვრცელ ტრამალს მირჩევნია
თქვენებ შვილნი გვყავდეს დიდი.

კიდევ ერთხლ გვინდა ხაზგასმით ავღნიშნოთ იმ ადამიანების ფასდაუდებელი ღვაწლი, მწვანე კონცხის განათლების კერის აღორძინებისათვის, რომ გაიღეს. მათ აქ მძიმე პირობებში დაანთეს უქრობი ლამპარი, რომელიც ახლაც გიზგიზებს, როგორც აგრარული ცოდნის სიმბოლო. (სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეპარტამენტი). მათ გაიარეს გრძელი, მარათონული, მომქანცავი გზა, რომელსაც ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ სახელოვანი.

**რეზო ჯაბნიძე -**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილი რექტორი.**

# ვახტანგ მაკარაძე - 90

## შვიდი ათეული - აღზრდის სამსახურში

ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფერიის საჯარო სკოლის ღირსების ორდენოსანი პედაგოგი, გულმხურვალე მამულიშვილი, სანაქებო გეოგრაფი, ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი და მოღვაწე ვახტანგ მაკარაძე.

ბატონ ვახტანგს ღვთისგან აქვს მომადლებული მასწავლებლის, სხვებზე სიხარულის მინიჭების ნიჭი და ისიც ქვეყნის, ადამიანების, განათლების, ბავშვების, სიკეთის სამსახურში იღვწის და დღენიადაგ იხარჯება. „ღვთიური ნაპერწკლით" ანთებული, თხემით ტერფამდე პედაგოგი და ჭეშმარიტი მოძღვარი მთლიანად შეერწყა და შეესისხლხორცა სკოლას, განათლების სისტემას. მის უმწიკლო პედაგოგიურ ტაქტს, ალღოს, გამოცდილებას საინტერესო, შინაარსიან ცხოვრებასა და მოღვაწეობას სკოლებში, განათლების განყოფილებასა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობის შვიდი ათეული წელი ამშვენებს. მთელი მისი ცხოვრება რუდუნებითი შრომით, საქმის სიყვარულით და სიკეთის ქმედებითაა გაცისკროვნებული.

ისტორიული მარეთის ულამაზესი ხეობიდან, ბაღივით გადაშლილ სოფელ ოლადაურიდან დაიწყო მისი ხატიმამული. ორგანიზატორული ნიჭით, საზრიანობითა და მიზანმიმართულობით გამორჩეულ მოსწავლეს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო ჯგუფის მასწავლებლობა დაავალეს. ხოლო შვიდკლასდამთავრებული ჭაბუკი კავშირგაბმულობის ოლადაურის სააგენტოს გამგედ დანიშნეს. ჩინებულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა ცოდნის დაუფლების წყურვილმა მანმადე არ მოასვენა, სანამ ხიხაძირის საშუალო სკოლაში არ განაგრძო სწავლა. სრული კურსი კი ბათუმის #9 სკოლაში დაასრულა. იმავე წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტია.

ცოდნის ტაძარმა ულამაზესი ფურცლები შემატა ჩემი ცხოვრების წიგნსო, —ამბობს იგი და სიყვარულით იხსენებს ლექტორ-მასწავლებლებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს მომავალი პედაგოგის პროფესიულ დაოსტატებაში.

1952 წელს ვ. მაკარაძემ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მშობლიურ სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მაძიებელი, მოაზროვნე, ენთუზიასტი პედაგოგი საქმის სიყვარულით თავდაუზოგავად შრომობდა და იხარჯებოდა, თავის სულს და გულს აქსოვდა საქმეს, რომელსაც ღვთისგან ბოძებულ ბედნიერებად მიიჩნევდა.

ნოვატორი პედაგოგი შუახევის ცალკე რაიონად შექმნის დღიდან გადაყვანილი იქნა რაიონის კინოფიკაციის გამგედ. ხოლო 1953 წლიდან შუახევის საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში. სკოლა მალე გამოირჩა წესრიგით, მოსწავლეთა სანიმუშო ყოფაქცევით, მაღალი აკადემიური მოსწრებითა და სანაქებო აღმრზდელ-პედაგოგებით. წინამძღოლობისა და სკოლის მართვის ნიჭით გამორჩეული ხელმძღვანელი 1961 წელს განათლების განყოფილების გამგედ დააწინაურეს. ამ პოსტზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ბატონ ვახტანგის მაღალი ერუდიცია, პროფესიონალიზმი, თვითნაბადი ნიჭი, გერგილიანობა და ორგანიზატორული შესაძლებლობანი, რომლებიც შერწყმული იყო დიდ შრომისმოყვარეობასა და საქმის სიყვარულთან. 12 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ვ. მაკარაძე აღნიშნულ განყოფილებას. იგი ძალას და ენერგიას არ იშურებდა მის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაწყვეტად. დარსა თუ ავდარში, წვიმასა თუ თოვლში დღენიადაგ სკოლებში, პედაგოგებთან იყო და მათთან ერთად ყველაფერს აკეთებდა სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლების, დაწყებითი სამხედრო სწავლების განხორციელების, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ადგილობრივი ინტელიგენციის ზრდისა და მომავლის ღირსეული მოქალაქეების აღსაზრდელად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი დიდ ეროვნულ საქმეს და ამით დიდი ამაგი დასდო მშობლიურ რაიონს. მარტო 1973-1975 წლებში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა საბავშვო ბაგა-ბაღების, დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სასკოლო ინტერნატების 80-მდე შენობა. თუნდაც ის ფაქტი, რა დღის რომ ვახტანგ მაკარაძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით შუბანსა და ჩირუხში გაიხსნა მოსწავლეთა ბანაკები, სადაც როგორც შუახევის, ისე მეზობელი რაიონების ასობით ბავშვი ისვენებდა და იკაჟებდა ორგანიზმს. ხელოვანი პედაგოგი წუხს და გული ტკივა იმის გამო, რომ კარგად დაწყებული საქმე ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა. მისი სურვილი და მოწოდებაა მთა ჩირუხი კვლავ ჩადგეს ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობის სამსახურში.



90

„დაე, იცოდნენ, ჩვენს საქართველოს
ისევ ჭირდება შენისთანები,
შენით ვამაყობთ, ჩვენო გამჭრელო,
შენს ქართველობას ვეთაყვანებით."

1963წელს შუახევის რაიონის ხულოს რაიონთან შეერთების გამო ვ. მაკარაძე გადაჰყავთ ოლადაურის საშუალო სკოლის დირექტორად. 1967 წელს კი შუახევის რაიონის აღდგენის შემდეგ კვლავ განათლების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ცოდნა-გამოცდილებით დაბრძენებულმა მაძიებელმა პედაგოგმა და ხელმძღვანელმა დიდი წვლილი შეიტანა განათლების დარგის განვითარებისა და მისი შემდგომი სრულყოფის საქმეში. სწორედ შემოქმედებითი და წარმატებული მუშაობის აღიარება იყო მისი აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ დაწინაურება. ბატონი ვახტანგი აქაც ჩვეული შემართებით იღვწოდა და დღენიადაგ იხარჯებოდა იმისათვის რათა ინსტიტუტი მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატების ნამდვილი კერა გამხდარიყო. პარარელურად გეოგრაფიას ასწავლიდა ბათუმის #6 საშუალო სკოლაში. ხოლო ამჟამად გეოგრაფიული მეცნიერების ხიბლს ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებს აზიარებს. ღვაწლმოსილი პედაგოგი კვლავ ახალგაზრდული შემართებითაა. შვიდი ათეული წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა გაკვეთილის საფუძვლიანი მომზადების, საგანმანათლებლო რესურსების მომარაგების, საინოვაციო საქმიანობის გაცნობის გარეშე შესულიყოს კლასში. ის არ ივიწყებს კ. უშენსკის სიტყვებს: „მასწავლებელი მანამადე ცოცხლობს, ვიდრე სწავლობს, როგორც კი სწავლას შეწყვეტს მასში კვდება მასწავლებელი". ამიტომაც ყოველთვის ახალი, საინტერესო, სახალისო მასალით შედის გაკვეთილზე. ჩვეული სიდინჯით, მიმზიდველად, ესთეტიკური გემოვნებით მრავალფეროვანი მეთოდების მომარჯვებით ატარებს ღრმაშინაარსიან, ორიგინალურ, აკადემიურად დატვირთულ ცოცხალ და ხალისიან გაკვეთილებს. წვდება თითოეული ბავშვის სულიერ სამყაროს, მის შინაგან „მე"—ს . ყოველ მათგანში ამჩნევს, ხედავს არაჩვეულებრივ უნარს. განუმეორებლობას, უნიკალობას. „მოსწავლე ჭურჭელი არ არის პირთამდე ასავსები, არამედ სანთელია, რომელიც უნდა აანთო", - ამბობს ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელიც ამ სულისკვეთებით მუხტავს გაკვეთილის ყველა მასალას. მისთვის გაკვეთილზე შესვლა აღსაზრდელის სულში შესვლას, სულის თანაზიარობას, მასთან ჰუმანურ თანამშრომლობას, ფიქრისა და განსჯისათვის სარბიელის შექმნას ნიშნავს. ამყარებს საგანთაშორის კავშირს, როცა ევროპის ქვეყნებს ასწავლის მოუთხრობს ქართული მებრძოლების, პარტიზანების გმირული ბრძოლების შესახებ, რითაც იტაცებს მოსწავლეებს და ეროვნული სიამაყის გრძნობით ავსებს.

ხელოვანი პედაგოგი პროგრამული მასალის მტკიცედ და საფუძვლიანად დაუფლების მიზნით გაკვეთილების პარარელურად უნარიანად იყენებს კლასგარეშე მუშაობის მრავალფეროვან ფორმებს. იშვიათად მოიძებნება საქართველოში პედაგოგი, რომელსაც ისეთი თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდეს მუშაობაში, როგრიც ბატონ ვახტანგ მაკარაძეს აქვს. მისი მოსწავლეები ყოველთვის იმარჯვებენ ოლიმპიადებსა და შემოქმედებით კონფერენციებში . ფერიის საჯარო სკოლიდან მისი 14 მოსწავლე საქართველოს მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის დირექციამ პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა (აღარაფერს ვამბობთ სხვა სკოლებში მუშაობის დროს გამარჯვებულ მის მოსწავლეებზე). ერთ-ერთი გამარჯვებული მოსწავლე ასე ეხმიანება ბატონ ვახტანგს. „დაე იცოდნენ, ჩვენს საქართველოს ისევ ჭირდება შენისთანები, შენით ვამაყობთ, ჩვენო გამრზდელო, შენს ქართველობას ვეთაყვანებით".

ადვილი სათქმელია 14 დიპლომის მიღება! რა დიდი, მუხლჩაუხრელი, რუდუნებითი შრომა და გარჯაა გაწეული თითოეული დიპლომის მისაღებად .

ასევე მთელ თავის ცოდნას და ენერგიას, თავის სულს და გულს აქსოვს ბატონი ვახტანგი მოზარდებში მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვივებას. საამისოდ ეფექტიანად იყენებს ექსკურსიებს. ადამიანი არ იქნება სრულქმნილი, ამბობს ამაგდარი პედაგოგი, თუ ისე გაიზარდა, რომ მინდვრის ყვავილი არ მოუწყვეტია, ბუნების წიაღში მწვანე ბალახი არ გაუთელია. ამიტომაცაა, რომ ყოველწლიურად ატარებს ექსკურსიებს. ვინ მოთვლის შვიდი ათეული წლის განმავლობაში რამდენ მოზარდს მოატარა საქართველოს მთა-ბარი, ვარძიის სვეტიცხოვლის, გელათის, ზარზმის, თმოგვის, ხერთვისის, ნიკორწმინდის, ახალი ათონის, ციცხვათის და სხვა ხელთუქმნელი ქმნილებების ხიბლი აგრძნობინა, სიამაყის გრძნობით აავსო და ზურმუხტოვანი მთებისა და ლურჯკამკამა ცის სიყვარული ცხოვრების დიდ გზაზე დაუსაგზლა.

ვ. მაკარაძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. დიდი სამამულო ომის წლებში სამხრეთი საზღვრების (აჭარა-შავშეთის ქედზე) გამაგრებისა და ფრონტის დასახმარებლად გაწეული დიდი წვლილისათვის იგი მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" დაჯილდოვდა.

აღსანიშნავია ბატონ ვახტანგის განსაკუთრებული დამსახურება შუახევის რაიონის დაარსებასა (დაარსდა1952 წელს) და შემდგომში გაუქმებული რაიონის აღდგენაში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია ვინც სათავეში ჩაუდგა 1998 წელს მარეთის ხეობაში წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობას. წმიდა ტაძარი გრანდიოზულია მთელ რაიონში. ამაგდარი პედაგოგი ასევე ძალ-ღონეს არ იშურებდა და 20 წლიანი ძიების შემდეგ მიაკვლია კიდეც სამების ეკლესიის XIV-XVსს) ნანგრევებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის აღნიშნული ტაძრის აღდგენაში. საგულისხმოა რომ 80 წლის ასაკში მასთან ერთად, მთელი მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი ქრისტიანულად მოინათლა, დაუბრუნდა მამა-პაპისეულ რწმენას.

კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი. ღვაწლმოსილი პედაგოგი დაინტერესა სოფელ გორას (ხელვაჩაურის რაიონი) ნორჩი მოქალაქეების ბედმა. პატარებს სოფელში არ ჰქონდათ სკოლა. ბატონი ვახტანგის ინიციატივითა და ძალისხმევით გორაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდგომ საბაზო სკოლად გადაკეთდა.

ასე ერთგულ გუშაგად უდგას ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი ეროვნულ საქმეებს, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს.

სასწავლო—აღმზრდელობითი მუშაობისა და თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევ საკითხებზე აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, სტატიებს. არის 300-ზე მეტი წერილის და ნაშრომის ავტორი. 2006წელს გამოიცა მისი სქელტანიანი წიგნი „გამონათლევის გამონათება", რომელიც დიდი ინტერესით მიიღო მკითხველმა.

ვახტანგ მაკარაძის მამულიშვილურ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე წერდნენ და წერენ არა მარტო მისი აღზრდილები, არამედ ცნობილი ადამიანები, მეცნიერები, მწერლები, განათლების დარგის მუშაკები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ აჭარის ა. რ. განათლების ყოფილი მინისტრები ვახტანგ წულუკიძე, არჩილ ტაკიძე, ნანი გუგუნავა, პროფესორები ანზორ დიასამიძე, თამაზ ფუტკარაძე, ვლადიმერ და შოთა მაკარაძეები... წერენ თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მასწავლებელი, როგორ უნდა ემსახუროს მშობელ ხალხს და სამშობლოს, როგორ მოიხადოს მამულიშვილური ვალი ქვეყნის წინაშე.

ხანგრძლივი უანგარო და თავდადებული შრომა ჯეროვნად დაუფასდა ვალმოხდილ და ღვაწლმოსილ პედაგოგს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, (ორჯერ), თორმეტი მედლით (მათ შორის იაკობ გოგებაშვილის მედლით), დიპლომებით, საპატიო სიგელებით. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, საქართველოს პრეზიდენტისა და ზაქარია ჭიჭინაძის პრემიები. მარეთის ხეობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პირველს მიენიჭა „საპატიო მარეთელის" წოდება, არის „საპატიო შუახეველი", იყო სხვადასხვა არჩევითი ორგანოს დეპუტატი, მასწავლებელთა ყრილობების დელეგატი, არჩეულია სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასის აჭარის სადროშოს წევრად, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორად, ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრად. ახლახან კი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საკრებულომ და საზოგადოებრივმა კავშირმა „მარეთმა" ღვაწლმოსილ პედაგოგს, ხეობის მრავალი თაობის აღმრზდელსა და დამრიგებელს, პუბლიცისტს, დამსახურებულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს „ხეობის მოძღვრის" საპატიო წოდება მიანიჭა.

დიდი სამაგალითო, სტუმართმოყვარე ოჯახი შექმნა ბატონმა ვახტანგ მაკარაძემ. მის ძირძველ, ქართულ კერაზე სამაგალითო შვილები და შვილიშვილები აღიზარდნენ. თუნდაც ის ფაქტი რადღირს რომ მის დიდ ოჯახში 20-ზე მეტი უმაღლეს განათლებულია. შვილთაშვილები, რომლებიც ამჟამად მოსწავლები და სტუდენტები არიან კიდევ უფრო გაზრდიან ამ რაოდენობას.

ხვავრიელი, ბარაქიანი შემოდგომა უდგას ბატონ ვახტანგს. საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგიგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის, ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივგებისა და მადლიერების საზოგადოების, საზოგადოებრივი კავშირის „მარეთის", ფერიის საჯარო სკოლისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ საიუბილეო საღამოებზე ინტელიგენციის წარმომადგენლები, კოლეგები, მისი აღზრდილები, აჭარის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, აჭარის განატლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე ლადო მგალობლიშვილი, პოეტები შოთა ზოიძე და ემენ დავითაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ქეთი დევაძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი ..... დიდმანიძე და სხვები გამსაკუთრებულად მოეფერნენ და მოესიყვარულნენ ღვაწლმოსილ პედაგოგსა და მოძღვარს. უსურვეს კვლავაც დიდხანს იღვაწოს მომავლის ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდისა და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**აკაკი ზოიძე**

# 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ბათუმი

გვიანი შუა საუკუნეების ხანაში საქართველოს ძნელბედობა ყველაზე მეტად ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს და კერძოდ, აჭარას დაატყდა თავს. პოლიტიკურად დასუსტებულმა და დანაწევრებულმა საქართველომ ვერ შეძლო სხვადასხვა მხრიდან მოძალებული დამპყრობლის მოგერიება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის აჭარაც ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა.

თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენადაც არ ეცადნენ აღმოეფხვრათ მათ მიერ მონყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან.

ქართველი პოლიტიკოსების არაერთი თაობის დაჟინებული და თავგანწირული ცდა, გაეთავისუფლებინათ მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყალი, წარმატებით ვერ დასრულდა. XIX საუკუნის დასაწყისში კი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები მოექცა მეორე დიდი დამპყრობლის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

აჭარის, კერძოდ ბათუმის შეერთება რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრების შემდგომდროინდელი საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის გამაგრებული პუნქტებისა და ნავსადგურების, კერძოდ კი ბათუმის დაჭერა, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იყო გათვალისწინებული. 1806 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ გუდოვიჩს წერდა: `...ფოთი, ბათუმი, გონიო - ყველა ეს დასახლებული პუნქტი ძველთაგანვე ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს. მაშასადამე, არ შეიძლება არ ვისურვოთ რუსეთის სახელმწიფოში ყველა ამ ადგილის გაერთიანება, რომ ამით უზრუნველვყოთ რუსეთის ბატონობა საქართველოში“. ამ ომის შედეგად როგორც ახალციხის საფაშოს, ისე აჭარის დიპლომატიური თუ სამხედრო ღონისძიებებით შეერთების მცდელობა მარცხით დამთავრდა. ბათუმის შეერთების განზრახვა ძალაში რჩებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც, თუმცა უშედეგოდ.

აჭარასა და ბათუმს რუსეთის სამხედრო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყირიმის ომის პერიოდშიც. რუსეთმა “ყირიმის ომში ბათუმის შეერთება პრაქტიკულ ამოცანად დაისახა“. 1854 წლის მაისში კოვალევსკის რაზმი ზემო აჭარაში შეიჭრა და დაიკავა სოფლები ბაკო, თხილვანა“. მაგრამ ამ შეტევას სერიოზული წარმატება არ მოჰყვა ე.ი. აჭარისა და ბათუმის საკითხი რუსეთისათვის კვლავ გადაუჭრელი დარჩა.

XIX საუკუნის 60-70- იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ყირიმის ომის შედეგად შელახული საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა წარმოადგენდა. ამდენად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი კვლავ “აღმოსავლეთის საკითხი“ იყო.

1875 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალთა წინააღმდეგ სლავი ხალხების აჯანყება დაიწყო. რუსეთი, რომელიც ტრადიციულად ბალკანეთის სლავთა მფარველის როლში გამოდიოდა, მოუწოდებდა ოსმალეთის ხელისუფლებას შეეწყვიტა ქრისტიანი მოსახლეობის დარბევა და განეხორციელებინა რეფორმები. ოსმალეთმა ყურად არ იღო ეს მოთხოვნა. რუსეთის მხრიდან შემდგომი ყოყმანი ბალკანეთის ხალხებში მის პრესტიჟს დასცემდა. 1877 წლის 12 (24) აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე II კიშინიოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. რუსეთი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის შედეგად დაკარგული სამხრეთ ბესარაბიის დაბრუნებას და ბათუმის შეერთებას.

ქართველი საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ “მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება“. მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის სწრაფვა ქართველი ერს არასოდეს განელესადმი? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა გაზეთ “დროებაში“ დაბეჭდილი ნ. ნიკოლაძის წერილი “საქართველო-ომი თუ იქნა“:“აღმოსავლეთის ომი თუ ატყდა, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი “ომის შემოსაზღვრა“. თუ ბრძოლა გაჭიანურდა მაშინ კი ოსმალეთის ევროპული მომხრეები მისთვის აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოელის აღმოსავლეთის ომში... მოვლენათა შემდგომმა

რუსეთ-თურქეთის ომი. (1877-1878 წ.წ.)
გურული გამყოლები (ჩავლადრები)

ბია. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ბალკანეთის პრობლემის გამწვავებამ რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი გარდაუვალი გახადა. ქართული პრესა, კერძოდ კი “ივერია“ და “დროება“ განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავდა ბალკანეთის საკითხის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, მისდამი ევროპის დიდი სახელწიფოების დამოკიდებულებას. “დროება“ 1877 წლის 12 იანვარს მოწინავეში “ომის საქმე“ წერდა:“ოსმალეთი არც ერთ იმ წინადადებაზე არ დათანხმებულა... კონფერენცია დათხოვნილია... ევროპამ თავისი მოვალეობა აასრულა, უნდოდა ომი აეცილებინა თავიდან, უნდოდა ოსმალოსა და რუსეთს შორის შეტაკება არ მომხდარიყო, უნდოდა და ამ ჰაზრით სტამბულის კონფერენცია შეიკრიბა, მაგრამ... ვერა გააწყო რა...

რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცეოდა. რა მოელოდა ამ შემთხვევაში საქართველოს? საერთოდ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველთა დამოკიდებულება მოსალოდნელი ომიმსვლელობამ დაადასტურა ნ.ნიკოლაძის წერილში მოცემული ანალიზის უტყუარობა.

თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა ქართველობას მოსალოდნელი საომარი მოქმედების დროს, ნ.ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით წერდა:“ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს,... ნუ დავიმალვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახვებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“.

რუსეთის მიერ ოსმალეთისადმი ომის გამოცხადების ფაქტს და ქართველთა ასეთი განწყობილების მიზეზს კარგად ხსნის პ.უმიკაშვილი წერილში “ოსმალოს საქართველო“: “ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდისს და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლს უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელინადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“

საომარი მოქმედებები ერთდროულად ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში გაჩაღდა. ორთავე ფრონტს მეფის ძმები ხელმძღვანელობდნენ – დუნაის არმიას სარდლობდა დიდი მთვარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ხოლო კავკასიის არმიას მეფისნაცვალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე

საომარი მოქმედებების მსვლელობისას არსებითი მშინვნელობა ჰქონდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ივანე კერესელიძესთან საუბარში აცხადებდა:“ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს“ . რუსეთის ცარიზმი დიდ იმედს ამყარებდა ქართველ მოლაშქრეებზე, რომელთაც რეგულარული არმიის გვერდით უნდა ებრძოლათ. სულ ომის დროს 30 ათასი ქართველი მოხალისე იყო მობილიზებული“. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივთა კეთილგანწყობის მოპოვებას. კავკასიის მეფინაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას:

აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!

სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ჯარი ჩვენდამი მონდობილის კავკასიის მხედრობისა მოდის თქვენს ქვეყანაში...

ნუ გეშინისთ! ყოველს თქვენგანს, რომელიც მტრად არ მოგვექცევა, ჩვენ მივიღებთ და მის ცოლშვილსა, ოჯახსა და ქონებას ჩვენ თვითონ მფარველად ვეყოლებით. რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა“. სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ “რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე“.

საერთოდ ქართველობა ამ ომში არნახულ ენთუზიამზს ავლენდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურიის მცხოვრებნი. “გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას წინათ რამდენიმე 12-16 წლის ყმაწვილები მოვიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცით და ჯარში ჩაგვაყენეთო“ .

ოზურგეთიდან ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულ ოზურგეთის რაზმს გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო მეთაურობდა. მას მოგვიანებით ქობულეთის რაზმი ეწოდა. ბრძოლამ თანდათან გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რთულ რელიეფს თან ერთვოდა უამინდობა. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა ვერ ითმენდა ბათუმის მიმართულებით შექმნილ ვითარებას და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადაწყდა, რომ ბათუმისაკენ შეტევაზე ქობულეთისა და ართვინის რაზმები ერთდროულად გადასულიყვნენ. ორივე რაზმის მეთაურად გენერალი კონსტანტინე კომაროვი დაინიშნა. მასვე დაევალა სასწრაფოდ დაეწყო შეტევა ციხისძირის მიმართულებით. სერიოზული მსხვერპლის მიუხედავად 1878 წლის 18 იანვრის შეტევას შედეგი არ მოჰყოლია. ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. მაშინ როცა, რუსეთს ბათუმისადმი, როგორც ბრწყინვალე ნავსადგურისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა. ამ განწყობილებას კარგად გამოხატავდა “დროება“ მოწინავეში:“ბათუმის დაპყრობა მარტო იმიტომ კი არ არის ჩვენთვის საჭირო, რომ ეს ჩინებული ნავსადგური ჩვენთვის დავინარჩუნოთ, არამედ იმისათვისაც, რომ შემდეგ რიონის მხარეს აქედამ არასოდეს არავითარი შიში აღარ ჰქონდეს“. მიუხედავად ასეთი გეგმისა და არერთგზის შეტევისა, რუსეთის ჯარმა ციხისძირის გადალახვა და ბათუმის განთავისუფლება ომის მსვლელობაში ვერ შეძლო.

19(31) იანვარს ადრიანოპოლში მხარეებმა ხელი მოაწერეს ომის შეწყვეტისა და მომავალი საზავო ხელშეკრულებების საფუძვლებზე შეთანხმებას“ . 1878 წლის თებერვალში სანსტეფანოში დაიწყო საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა ნ.იგნატიევი და პ.ნელიდოვი, ხოლო ოსმალთა მხარეს საფვეტ-ფაშა და სადულაჰ-ფაშა. ოსმალეთის დიპლომატები ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ მოლაპარაკებების პროცესი, რადგან იმედოვნებდნენ წინასწარი შეთანხმების პირობების გადასინჯვას ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებით ინგლისის) მხარდაჭერით. თავის მხრივ რუსული დიპლომატიაც ხვდებოდა, რომ ხელშეკრულების გაფორმება აიძულებდა ევროპას ეცნო მისი პირობები. რამდენიმე დღის დაძაბული დაპირისპირების შემდეგ, 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები სავსებით შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს.

სან-სტეფანოს საზავო პირობებით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ვითარება რუსეთის მოთხოვნების შესაბამისად წყდებოდა – სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი დამოუკიდებლობას ღებულობდა. ბულგარეთს ენიჭებოდა სამთავროს სტატუსი (დამოუკიდებელი მთავრობით) ოსმალეთის მფარველობაში.

ომის შედეგად მიღებული ზარალისათვის რუსეთმა მოითხოვა და ბრწყინვალე პორტა ვალდებულებას ღებულობდა გადაეხადა:

ა) 900 მილიონი მანეთი სამხედრო ხარჯებისათვის (არმიის შენახვის, სურსათის, სამხედრო დაკვეთების ხარჯზე)

ბ) 400 მილიონი მანეთი რუსეთის სამხრეთ-ზე მიყენებული ზარალისათვის (ვაჭრობაზე, მრეწველობისა და რკინიგზაზე მიყენებული ზიანისათვის)

გ) 100 მილიონი მანეთი კავკასიაში შეჭრის დროს მიყენებული ზარალისათვის

დ) 10 მილიონი მანეთი თურქეთში რუსეთის ქვეშევრდომებისა და რუსულ დაწესებულებებზე მიყენებული ზიანისათვის.

სულ ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი .

ითვალისწინებდა რა ოსმალეთის მძიმე ფინანსურ მდგომარეობას და სულთნის სურვილს, იმპერატორი დათანხმდა გადასახდელი თანხის დიდი ნაწილის სანაცვლოდ მიეღო ტერიტორიული დათმობები. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამ-

ხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, არდაგანს ბაიაზეთსა და ბათუმს . აღნიშნული ტერიტორიები ეძლეოდა რუსეთს ათას ასი მილიონი მანეთის სანაცვლოდ.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე სტატიით რუსეთისათვის გადაცემული ტერიტორიების მოსახლეობას, რომელთაც სურვილი ექნებოდა გადასახლების, შეეძლოთ გაეყიდათ თავისი უძრავი ქონება ხელშეკრულების რატიფიკაციიდან 3 წლის განმავლობაში.

სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში... რაც მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის. მას მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა, მათ ომისათვის დაიწყეს მზადება. პრემიერ-მინისტრ ბიკონსფილდის (დიზრაელის) შუამდგომლობით დედოფალმა ვიქტორიამ 1878 წლის მარტის ბოლოს თადარიგში მყოფთა მობილიზაცია გამოაცხადა. ინგლისის გემები დარდანელისაკენ დაიძრნენ. რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა – ამიტომ დათანხმდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე. რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს ინგლისში გრაფ შუვალოვს დაავალა დაეზუსტებინა თუ რა დათმობებს მოითხოვდა ინგლისი რუსეთისაგან. 1878 წლის 18 (30) მაისს ლონდონში შუვალოვმა და სოლსბერიმ ხელი მოაწერეს ინგლის-რუსეთის შეთანხმებას სან-სტეფანოს ხელშეკრულების ცვლილებების თაობაზე.“ეს შეთანხმება განსაზღვრავდა რუსეთის დათმობებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიაზე მოდიოდა. თურქეთს უბრუნდებოდა ალაშკერტის ველი, არზრუმი და ბაიაზეთი, მაგრამ ინგლისი ამ წარმატებას არ დასჯერდებოდა და 4 ივნისს ოსმალეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით ვალდებულებას ღებულობდა საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით დახმარებოდა მას.

ასეთ ვითარებაში, 1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები. ესწრებოდნენ რუსეთის, თურქეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონგრესის მსვლელობისას გამოირკვა, რომ რუსეთი ფაქტიურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. გასაკუთრებით სერიოზული წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. ინგლისს არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა. საბოლოოდ ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ინგლისი დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისათვის გამოეყენებინა .

მაგრამ ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. ბათუმის გადაცემის საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად შედგა რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი კომისია. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კავკასიის მთავარსარდლის თანაშემწე გენერალ ადიუტანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი. შემადგენლობაში იყვნენ: გენერალ მაიორი თავადი ტრუბეცკოი, კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი პოლკოვნიკი თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი და რუსეთის ყოფილი კონსული ბათუმში ჯუდიჩი. ოსმალეთის მხრიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ვარნის ყოფილი კომენდანტი ნეად-ფაშა, ალი-ბეი და სულეიმან-ბეი და რამდენიმე დიპლომატი. შერეული კომისიის სხდომა გაიმართა ქალაქ ქუთაისში 12-20 აგვისტოს. ოსმალეთის მხარე კისრულობდა ბათუმიდან ჯარები გაეყვანა 25 აგვისტოსათვის. შეთანხმების მიხედვით რუსეთს უნდა დაეკავებინა ჩურუქ-სუ, სამება და კვირიკე – 17 აგვისტოს, ციხისძირი 21 აგვისტოს, ჩაქვი – 24 აგვისტოს. რუსეთს უნდა გადასცემოდა სახელმწიფო დაწესებულებათა დოკუმენტები და არქივები. მიუხედავად შეთანხმებისა ოსმალებმა გაიტაცეს ისინი. 19 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ქობულეთი, (Curuq-სუ) . 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი ბათუმში შევიდა. იმავე დღეს რუსთა მეორე კორპუსი ტრეიტერის მეთაურობით შევიდა ხულოში, ფურტიოში, ჭვანაში და დაიძრა ბათუმისაკენ სვიატოპოლკ-მირსკის ჯარებთან შესაერთებლად. თურქთა უკანასკნელი ნაწილები დევრიშ ფაშას სარდლობით ბათუმს ტოვებდა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე 11-ს დეპეშით მიულოცა:“Имею счастье поздравить ваше императорское величество с занятием Батума“ .

ბათუმის მშვიდობიანად განთავისუფლებას ასე ეხმაურებოდა “ივერია“: “აი, ბათუმიც დაუცალა ოსმალებმა რუსეთს და მადლობა ღმერთს არავითარი ვაივაგლახი და სისხლის ღვრა არ მოჰყვა ამ გარემოებას... დრო არის დამშვიდდეს და ცოტა მაინც დალაგდეს ცხოვრება. მშვიდობიანობას, ნამდვილ მშვიდობიანობას თანდათან ფეხი შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და უნდა ვინატროთ, რომ დიდი ხნით მაინც გვეწვიოს, თუ არა სამუდამოდ“ .

აჭარის გათავისუფლებას და დედა სამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით მიესალმება ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. ი.ჭავჭავაძე წერდა:“ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლნი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი ძველი საქართველო, ჩვენი განათლებისა და სწავლების აკვანი, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

ი.ჭავჭავაძისა და ს.მესხის თაოსნობით მთელ საქართველოში დაიწყო შეწირულობათა შეგროვება ომის მძიმე შედეგებით გაწამებული, ახლადშემოერთებული მხარის მოსახლეობის დახმარებისათვის. ქართველი ინტელიგენციის გულისხმიერი დამოკიდებულების გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება. მოწინავე ინტელიგენციამ აჭარელთა შორის იმთავითვე აქტიური კულტურული საქმიანობა გააჩაღა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების აღდგენის საქმეში.

**ჯემალ კარალიძე,**
**ასოცირებული პროფესორი**

# ტ ე ს ტ ი

## დამწყები მეწარმისთვის

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა შემოსავლის მოპოვებასთან არის დაკავშირებული, რაც ყველაზე კარგად მეწარმეობაში, კომერციულ საქმიანობაში ჩართულობაში გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში ინტენსიურად იწყებს მოქმედებას ადამიანის ყველა ფსიქიკური შესაძლებლობები და შეიძლება ვთქვათ, რომ კომერციულ საქმიანობაში ჩართული ადამიანი თანდათანობით უახლოვდება სრულყოფილი მეწარმის ეტალონს. ნამდვილ საქმიან პიროვნებაში ჰარმონიულად თავს იყრის გონებრივი პოტენციალის ყველა პარამეტრი. ამიტომ ქვემოთ მოყვანილი ტესტი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რამდენად მზად ვართ მეწარმეობისათვის, კომერციული საქმიანობისათვის, რა გვჭირდება წინ ნაბიჯის გადასადგმელად.

გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს და შემოხაზეთ თქვენთვის შესაფერისი პასუხი.

**1. როგორ ვარაუდობთ გამდიდრებას ახლო მომავალში?**

ა) კარიერის გაკეთებით, ხელმძღვანელ საფეხურზე ზემოთ ასვლით;

ბ) ფულის საქმეში ჩადებით, გარისკვით;

გ) ლატარეაში ბედის ცდით.

**2. რომ გქონდეთ შესაძლებლობა გამოხვიდეთ მსახიობის როლში, ვის როლს ითამაშებდით ყველაზე უკეთ?**

ა) ოსტაპ ბენდერის;

ბ) „ანა კარენინა“—დან ლევინის როლს;

გ) შტირლიცის როლს კინოფილმიდან „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“.

**3. წარმოიდგინეთ, რომ მილიონი გამოიმუშავეთ. რას გააკეთებთ შემდგომ?**

ა) ფულს ბანკში შევინახავ და პროცენტებს დაველოდები ანაბრებისგან;

გავრისკავ მომგებიან საქმეში დაბანდებას;

გ) ფულის ნაწილს ახალ საქმეში დავაბანდებ, ნაწილს კი—სოლიდურ ბანკში საიმედოობისთვის.

**4. თქვენი აზრით, რას მოგიტანთ ფული?**

ა) ძალაუფლებას;

ბ) ცხოვრებაში სიამოვნებას;

გ) ბევრ ახალ საზრუნავს და შურს.

**5. თუ გამდიდრდებით, გაქვთ სურვილი ამის შესახებ გაზეთებში დაწერონ?**

ა) არა;

ბ) დიახ;

გ. ჩემზე ხანდახან ისედაც წერენ.

**6. პროფესიების ამ სამი ჯგუფიდან რომელი შეგესაბამებათ ყველაზე მეტად?**

ა) მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი;

ბ) ადვოკატი, ექიმი, პოლიტიკოსი;

გ) ფირმის, ინსტიტუტის ხელმძღვანელი, გამომცემლობის დირექტორი.

**7. თქვენი ფირმის შექმნისას, სამუშაოზე მიიღებთ პირებს, რომლებიც ადრე თქვენი მეგობრები იყვნენ?**

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ამ კითხვაზე საფუძვლიანად უნდა დავფიქრდე.

**8. წარმოიდგინეთ, რომ მილიონი გამოიმუშავეთ. როგორ მოიქცევით?**

ა) ჩემს ცხოვრებაში შეიცვლება მხოლოდ ბინა, მანქანა, ავეჯი და სხვა გარემო;

ბ) თავს მეტი მოგზაურობის უფლებას მივცემ;

გ) კარდინალურად შევცვლი ცხოვრების წესს.

**9. წარმოიდგინეთ, რომ ფირმის დირექტორი ხართ. რითი დაიწყებთ საქმიანობას?**

ა) იმ ადამიანების შესწავლით, რომლებთანაც მომიწევს მუშაობა;

ბ) განვსაზღვრავ ფირმის მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

გ) შევეცდები საიმედო დახმარების პოვნას.

**10. რომელი შეხედულება მიგაჩნიათ უფრო მიმზიდველად, თუ დარწმუნდებით და ფირმის დირექტორი გახდებით?**

ა) ჩემს მუშაობაში შემცირდა პროფესიულ—ტექნიკური ჩვევების მნიშვნელობა და გაიზარდა კონცეპტუალური ცოდნის როლი;

ბ) რაც უფრო მაღალია მართვის რანგი, მით უფრო მნიშვნელოვანია კომუნიკაციური უნარები და შესაძლებლობები პროფესიულ—ტექნიკურთან შედარებით;

გ) თანაბრად შეიცვალა მოთხოვნები ყველა თვისების მიმართ.

**11. თქვენს ფირმაში ერთ—ერთ ბრიგადაში კონფლიქტური სიტუაციაა, როგორი იქნება თქვენი, როგორც ფირმის დირექტორის მოქმედებები?**

ა) საჭიროა მოვისმინო ორივე მხარის აზრი და დავარწმუნო ისინი იპოვონ კომპრომისული გადაწყვეტილება;

ბ) საჭიროა ყველას აზრის მოსმენა, მაგრამ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტა მივანდოთ ბრიგადას;

გ) გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მცირე კონფლიქტი არ გაღვივდეს, დიდ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.

**12. რამდენად ძლიერ განიცდით დიდი ფულის ქონის მოთხოვნილებას?**

ა) მუდმივად;

ბ) პერიოდულად;

გ) უფრო არა.

**13. მილიონი რომ გქონდეთ და მოგეცეთ შესაძლებლობა დადოთ ახალი გარიგება, რომელს აირჩევდით? იმას, რომლის მოგებაც იქნება:**

ა) მეოთხედი მილიონი;

ბ) ნახევარი მილიონი;

გ) მილიონი.

**შემდეგ ცალკე ფურცელზე უნდა ჩაწეროთ კითხვების ნომრები და არჩეული პასუხის ვარიანტები. ამის შემდეგ შეგიძლიათ დათვალოთ ქულების ჯამი.**

**ქულები შემდეგნაირად ფასდება:**

| კითხვა | პასუხი |
|---|---|
| 1 ---------- | ა) 6; ბ) 3; გ) 0. |
| 2 ---------- | ა) 3; ბ) 0; გ) 6. |
| 3 ---------- | ა) 0; ბ) 6; გ)3. |
| 4 ---------- | ა) 6; ბ) 0; გ) 3. |
| 5 ---------- | ა) 0; ბ) 3; გ) 6. |
| 6 ---------- | ა) 0; ბ) 3; გ) 6. |
| 7 ---------- | ა) 0; ბ) 3; გ) 6. |
| 8 ---------- | ა) 6; ბ) 3; გ) 0. |
| 9 ---------- | ა) 3; ბ) 6; გ) 0. |
| 10 ---------- | ა) 6; ბ) 0; გ) 3. |
| 11 ---------- | ა) 3; ბ) 6; გ) 0. |
| 12 ---------- | ა) 6; ბ) 3; გ) 0. |
| 13 ---------- | ა) 0; ბ) 6; გ) 3. |

შემდეგ შეაჯამეთ ქულები და 9-ქულიანი სკალის მიხედვით განსაზღვრეთ თქვენი უნარების დონე კომერციულ საქმიანობაში რისკის მიმართ.

**ძალიან დაბალი დონე (0—დან 11 ქულამდე).**

**დაბალი დონე (12—დან 19 ქულამდე).**

**საშუალოზე ძალიან დაბალი (20—დან 27 ქულამდე).**

**საშუალოზე ოდნავ დაბალი (28—დან 35 ქულამდე).**

**საშუალოზე (36—დან 43 ქულამდე)**

**საშუალოზე ოდნავ მაღალი (44—დან 51 ქულამდე).**

**საშუალოზე მაღალი (52—დან 59 ქულამდე).**

**მაღალი დონე (60—დან 67 ქულამდე).**

**ძალიან მაღალი დონე (68—დან 78 ქულამდე).**

**შედეგების ინტერპრეტაცია.**

თუ განსაზღვრეთ, რომ გაქვთ რისკის უნარი კომერციულ საქმიანობაში და ის 1—3 დონეების ფარგლებშია თქვენთვის გამდიდრების საუკეთესო ხერხია მტკიცედ მუშაობა მენეჯერის, ხელმძღვანელის კარიერისთვის თავის არიდებით.

**თუ ის მე—4—მე—6 დონეებზეა**, თქვენ გაქვთ გამდიდრების შანსი, მაგრამ აუცილებლად უნდა განავითაროთ თქვენში კომერსანტის შესაძლებლობები.

**თუ მე—7—მე—8 დონეებზე** ხართ, თქვენ გაქვთ მენეჯერის პროფესიის დაუფლების შანსი.

**თუ დააგროვეთ 68—დან 78 ქულამდე** ანუ ხართ მე—9 დონეზე, რეალური შანსი გაქვთ გახდეთ მილიონერი, თუ უკვე არ ხართ!

# შობა მაცხოვრისა

## წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

დაუმძიმდა კაცთა ნათესავსა ძველი რჯული, ძველი აღთქმა, შეერყა საძირკველი კაცთა ცხოვრებასა, რომელსაც ქვაკუთხედად ედვა ძველის აღთქმის მოძღვრება: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. სხვა მადლის მწყურვალმა სულმა კაცისამ იგრძნო, რომ ამ მოძღვრების საფარქვეშ ვეღარ იდგომილება დიდხანს, - და ძველი ქვეყანა ირყევა, ირღვევა, მიდის და იფუშება. იგრძნო, რომ იგი ღმერთი მსჯავრისა და შურისგებისა, ღმერთი წყრომისა და რისხვისა ამასთანავე კაცთმოყვარე, მადლის მომფენი, ყოვლად მოწყალე და ყოველთა შემწყნარებელი ღმერთიც უნდა იყოს.

ამ ქვეყნის რყევასა და რღვევაში ჯერ კარგად ვერგამორკვეული სასოება ადამიანისა, ჰხედავს-რა ძველს დედა-ბოძს სულის საფარისას წარსაქცევად გამზადებულს, ჰკვნესის და ჰღაღადებს ზეგარდამო შთაგონებულთ კაცთა ბაგითა. რყევისა და რღვევისაგან თავის ბუდიდამ ამომფრთხალი გული ადამიანის უთვისტომოდ, უბინაოდ ჰრჩება. გული შეშინებული, ელდაცემული ეძიებს ახალ სადგურს, ახალს ბინას, რომ ამოვიდეს ახალი ვარსკვლავი, ახალი ალიონი, რომელმაც უნდა გზა აჩვენოს და გააგებინოს ძველის ქვეყნის რყევისაგან ატეხილს მტვერ-ბუქსა და ბინდ-ბუნდში. ერთხელ წაირღვნა ქვეყანა, ეხლა-კი უნდა დახსნილ იქმნას და აი, ამ მხსნელს ელის ხსნის მწყურვალე სული.

„შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი! - ჰღაღადებს ზეგარდამო შთაგონებული წანასწარმეტყველი: - არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დამწყსოს ერთი ჩემი, ისრაელი!“

ადამიანი რაღაც ლოდინშია, გარღვეულ უფსკრულის წინაშე მდგომარე, სასოს არ იკვეთს, რომ მოვა მაცხოვარი და თავის ყოვლად-მხსნელს ხელსა მომაწვდისო, სასოებით აღსავსენი, სულით განდიდებულნი და აღფთოვანებულნი წინასწარმეტყველნი წინათ-ჰგრძნობენ ამა მოსვლასა და ვითა მახარობელნი ნუგეშს სცემენ გულწასულს ადამიანს, მოვაო, ოღონდ შენ „განმზადნე გზანი მისნიო“.

„აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოსი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსაო, - ჰღაღადებს სრულის რწმენის ღაღადითა წინასწარ-გრძნობით აღტაცებული ისაია წინასწარმეტყველი: - განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელჰყენით ალაგნი მისნი“.

და აჰა ამა „გზათა განმზადებად და წრფელ-ყოფად ალათა მისთა“ მოევლინა ქვეყანას იოანე წინამორბედი „მღაღადებელი უდაბნოსა შინა“. გულშერყეულს და ნუგეშის მწყურვალს ქვეყანას ჰგონია, რომ აი ეს არის იგი, ვინც ასე ძლიერ სწყურიან ჩვენს ობლად შთენილ სულსა და ვისაც ასეთის სასოებით მოველოდებითო. არაო, ეუბნება წინამორბედი იოანე:

„ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განხსნად ხამლთა მისთასა. მე ნათელ-გცეთ თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეთ თქვენ სულითა წმიდითა“.

იშვა ქრისტე, იშვა იგი, რომელმან ნათელ-სცა ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა იგი დედისაგან, რომელ კურთხეულ არს დედათა შორის. იშვა იგი, რომელიც, როგორც იოანე მახარობელი ამბობს, - „დაემკვიდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა... რამეთუ რჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესოს მიერ იქმნა... რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“. იშვა იგი, რომლის გამო სთქვა იოანე წინამორბედმავე:

„აჰა ტარიგი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდვანი სოფლისანი! ესე არს, რომელისათვის იგი ვსთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელიც პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“.

„ნუ გეშინინ, - ახარებს ქვეყანას ანგელოზი: - ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი... და ესე იყო თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი, შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

რა დიდებული სახეა, რა დიდებული ხატია!.. ღმერთი, მოვლინებული ცხონებად და ხსნად ქვეყნისა, ღმერთი ახლის აღთქმისა, რომელმან უნდა „აღიხვნას ცოდვანი სოფლისანი“. ძე ღვთისა და კაცისა, რომელმან უნდა ნუგეშ-სცეს ქვეყანას, - მოვედინ, მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენოთ თქვენ“, ღმერთი, რომელმანც უნდა ნათელ-სცეს ბნელს ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა ვითა ღარიბი ღარიბ საფარ ქვეშ და არის „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“... მარტო ერთი ვარსკვლავიღაა აღმომხდარი აღმოსავლეთით და იგი დაჰნათის ზედ ადგილსა მას შობისასა ნიშნად მისად თუ, - რა სხივოსანი მადლი მოეფინა ქვეყანას დედისაგან, რომელიც ამიტომ „კურთხეულ არს დედათა შორის: „ყრმა-ღმერთი „შეხვეული და მწოლარე ბაგასა“, არისღა სადმე სხვა ხატი, რომ დიდებამ ასე ადიდოს  სიღარიბე და სიღარიბემ ასე ადიდოს დიდება: ყველაზედ უწინარეს ამ ხატითა უთქვა შობისავე უმალ იგი თავდაბლობა კაცთმოყვარე ქრისტე-ღმერთისა, რომელმაც მერე გააოცა ცუდმედიდობით გარყვნილი ძველი ქვეყანა.

იშვა იგი, ვინც გაჭირვებულს და ძირით თხემამდე შერყეულს ქვეყანას მოაცალა ულმობელის საძირკველი „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ და ამის მაგიერ შთაუდგა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“  და ამაზედ ხელახლად დაადგინა დასარღვევად გამზადებული ქვეყანა, ვითარცა კლდეზედ, რომელსაც ვერც ჟამი და ვერც დრო ვერ შეჰმუსრავს და ვერ შეარყევს. ამ კლდეს ზედ დაანთხია მან თავისი ღვთაებრივი სისხლი და ზედ მოვლინებული, კაცმავე ჯვარს აცვა და ჯვარცმული მაინც ჯვართმცმელთათვის ჰღაღადებდა ღვთისა მიმართ: ღმერთო, შეუნდეე, რამეთუ არა უწყიან რას იქმნან; ან რა სულგრძელი, რა კაცთმოყვარე, რა ყოვლადმოწყალე ღმერთი იშვა დღეს და ამას სამართლიანად ჰხარობს და დღესასწაულობს მთელი ქრისტიანობა.

მას აქეთია აღსდგა ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახალი ცხოვრებისათვის. მას აქეთ შეაფარა კაცმა თავი თვისი ღმერთსა სიყვარულისას, მშვიდობისას, მოწყალებისას და შენდობისას. განახლდა კაცი და დღეს განახლებულს კაცს ძალუძს სასოებით სთქვას: „შენ ხელახლად შემქმენ მე, ქრისტე-ღმერთო, და დამდევ ჩემზედა ხელი შენი... შენ სცან დაჯდომაი ჩემი და აღდგომაი ჩემი. ალაგნი ჩემნი და ნაწილნი ჩემნი შენ გამოიკვლიენ და ყოველნი გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ... საკვირველ იქმნა ცნობა შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ შეუძლო მას, შენ ხარ ხსნა ჩემი, შენი მოძღვრება - მაცხოვარ ჩემდა, და ვეღარად განვერინო სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვეღარსად ვივლტოდე: აღ-თუ-ვჰხდე ცად, შენ უნ ხარ. შთა-თუ-ვჰხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ: აღ-თუ-ვიპყრნე ფრთენი ჩემნი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, - და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძღოდეს მე და მარჯვენემან შენმან შეიწყნაროს მე“.

**1886 წ. 24 დეკემბერი**

## ნათლისღება

**ტროპარი:** რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

კონდაკი: განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო ან მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.

ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

**ნათლისღება** - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შეწევნისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს. განა ეს საკვირველია? — უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიზრქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულიწმიდა სულის სიღრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება — ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ”.

## წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

14 იანვარი (ახ.სტ. 27 იანვარი) ყოვლად-სადიდებელი დღეა ყოველის ქართველისათვის. ამ დღესა უქმობს, ამ დღესა დღესასწაულობს საქართველოს ერი და ეს დღეა დღე მიცვალებისა ჩვენის განმანათლებლის მოციქულთა სწორის წმინდა ნინოსი. ამ ჩვენს ღვთისმშობლის წილხვდომილს ქვეყანას ღვთისმშობლისავე ლოცვით და კურთხევით მოევლინა ზეგარდამო შთაგონებული წმინდა ქალწული, გადმოლახა თავის უძლურის ფეხითა მთანი და კლდენი, მოვიდა იქ, „სადაცა ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ“, პირქვე დაამხო სალოცავნი კერპთმსახურებისანი და მათს ადგილას აღმართა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი პატიოსანი.

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმნიკვლელად მოიტანა და ტანჯულმა და წამებულმა ჩვენ, შვილებს, გადმოგვცა, - ეხლა თქვენ იცითო.

ეკლის გვირგვინია, მაგრამ თვალმარგალიტით მორთულს გვირგვინს რითი ჩამორჩება? გვირგვინი წამებისა ჭეშმარიტებისათვის, კაცთმოყვარებისათვის, გვირგვინი წამებისა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ნუგეშისათვის, გვირგვინი წამებისა ერთმანეთის ძმურად და სიყვარულით განკითხვისათვის. მშიერთა, მწყურვალთა, სნეულთა, საპყართა და პატიმართა შველისა და ხსნისათვის, ობოლთა, ქვრივთა, უპატრონოთა შეწყნარებისათვის, ნუთუ ყოველივე ეს იგივ თვალ-მარგალიტები და უკეთესნიც არ არიან?

## ქართველი ერი და ღვაწლი წმინდა ნინოსი

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ჯხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

ამ სამართლიან ქება-დიდებისათვის სხვა უკეთესს დღეს ვერ ამოირჩევს ქართველი, თუ არ დღეს, ჩვენის განმანათლების სახსოვრად დაწესებულს. მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის.  ქართველმა არ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავისდღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვიენენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული - მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ამ სამთა უწმინდესთა საგანთა შეერთებამ ასწია ჩვენი სამღვდელოება და დააყენა ის მაღალ ხარისხზედ, სადაც ყოველი ნიჯი ღვაწლია და სამსახური ქვეყნის წინაშე. მოღვაწეს და მოსამსახურეს ყოველთვის დიდი პატივი და სახელი აქვს და ამიტომაც უწინ სასულიერო წოდებაში შესვლა და ყოფნა დიდ პატივად და დიდ ღირსებად მიაჩნდათ. დიდნი გვარიშვილნი, მეფეთა ოჯახისანი და ძენიც კი ბედნიერად ჰრაცხდნენ თავიანთ თავს, თუკი ეღირესებოდნენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ყველამ იცოდა, რა მძიმეა ჯვარი ქრისტესი, ჯვარი მამულისა და ეროვნებისა, და სახელიც მოღვაწისა ამ სიმძიმეში იყო. ეს სიმძიმე აპატიოსნებდა ღვაწლსა, ეს ტვირთი ასხივოსნებდა სამსახურსა და ამ პატიოსნებასა და სხივოსნობაში იყო თავმოწონებაც და ჯილდოც მოღვაწისა.

ამ სახით, წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეპმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასაწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვანაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.


რედაქტორი:
**იოსებ სანიკიძე**

სპეციალისტი:
**ნესტან მამუჭაძე**





**saredaqcio kolegia:**
nana cecxlaZe, inga SamiliSvili
naTia wiklaSvili, nino doliZe
murman gorgoSaZe,
daviT baraTaSvili
guram Caganava,SoTa mamulaZe
gugu li dumbaZe, nugzar RomiZe

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში„
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7